წლის შირაქი
დედოფლისწყარო
გამოცემის მე-80 წელი
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი
№51 (9.812)
29 დეკემბერი – 6 იანვარი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

# 2017 წელი და მნიშვნელოვანი მოვლენები

















გვ.2-6

## „რაც უფრო ძლიერდება ეკლესია, მით უფრო იზრდება მასთან დაპირისპირება“

## ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროც დააზარალა

გვ.8

## 2017 წლის სპორტსმენი და სპორტული მიღწევები



გვ.5



გვ.8

## ქედელებმა დილიჩის მიწები დაიბრუნეს

## ცხადდება ვაკანსიები

*დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში ღია კონკურსი გამოცხადდა პროფესიული საჯარო მოხელის შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად:*

1. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი;***
2. პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;***
3. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***ადამიანური რესურსების მართვისა და საქმის წარმოების განყოფილების უფროსი;***
4. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ***სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების უფროსი;***
5. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – ***ქონების მართვის განყოფილების უფროსი;***
6. პირველი კატეგორიის ***უფროსი სპეციალისტი ეკონომიკურ საკითხებში;***
7. პირველი კატეგორიის ***უფროსი სპეციალისტი სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის საკითხებში.***

*განცხადებების რეგისტრაცია ხდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე* www.hr.gov.ge *განცხადებების რეგისტრაცია იწარმოებს 2018 წლის 11 იანვრის ჩათვლით.*

## სანქტ-პეტერბურგში ცისფერი თოვლი მოვიდა



გვ.8

C M Y K

# „რაც უფრო ძლიერდება ეკლესია, მით უფრო იზრდება მასთან დაპირისპირება“



***2017 წელი განსაკუთრებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებაში. წელს ჩვენი ეკლესია და სრულიად საქართველო საზეიმოდ აღნიშნავს 3 დიდ თარიღს - საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში ერთი საუკუნის მანძილზე შეჩერებული 15-საუკუნოვანი ავტოკეფალური მმართველობის აღდგენიდან 100 წლისთავს; უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიადსაქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის აღსაყდრებიდან 40 და დაბადებიდან 85 წლისთავს.***

ჩვენი ქვეყნის დამპყრობელი ათეისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იყო ეკლესიის სრული განადგურება. XX საუკუნის20-30-ანი წლები განსაკუთრებით გამოირჩეოდა ეკლესიისადმი სისასტიკითა და დაუნდობლობით. ინგრეოდა ეკლესია-მონასტრები, ფიზიკურად ანადგურებდნენ ღვთისმსახურებსა და მრევლის წევრებს, ფეხქვეშ თელავდნენ სიწმინდეებსა და ქრისტიანულ ფასეულობებს.

**ამ წლებში წყდებოდა ჩვენი ერის მომავლის ბედი. ისმოდა კითხვა - შეძლებდა თუ არა ქართველი ერი თუნდაც სულ რამდენიმე ათეულ ოჯახში რწმენის შეურყვნელად დაცვას, რომ მომავალი თაობებისათვის გადაეცათ ჭეშმარიტი ეკლესიის ტრადიცია.**

**მადლობა ღმერთს, მიუხედავად ერის უმრავლესობაში რწმენის დაკნინებისა,, აღმოჩნდნენ ისეთი ღვთის რჩეული ოჯახები და გვარები, რომელთაც ერთგულად დაიცვეს საღმრთო სწავლება და წესი ქრისტიანული ცხოვრებისა. მათ შორის უდიდესი მისია აღასრულა ხევისა და სრულიად საქართველოს მცველმა ღუდუშაურშიოლაშვილების ისტორიულმა გვარმა. მათ საქართველოს განადგურების პირას მიყვანილი ეკლესიის აღმადგინებელი და აღმაშენებელი კათოლიკოს-პატრიარქი აღუზარდეს.**

ფაქტიურად, პატრიარქის დაბადების 85 წელი - ეს არის უკანასკნელი 100 წლის მანძილზე საქართველოში თაობათა შორის სარწმუნოებრივი ჯაჭვის უწყვეტობის აღმნიშვნელი თარიღი. სწორედ ამ უწყვეტობის წყალობით გადარჩა ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობა ანუ იდენტობა. ეს თარიღი არის მოსახსნებელი დღე იმ ოჯახებისა და პიროვნებებისა, რომელთაც უხმაუროდ და დაფარულად აღასრულეს თავისი ქრისტიანული და მამულიშვილური ვალი, ვინ აღმსარებლობით და ვინ მოწამეობრივი აღსასრულით.

მისი უწმიდესობის აღსაყრდების 40 წელი ჭეშმარიტად არის გვირგვინი საიუბილეო წლის ზეიმისა. უპირველესად ეს არის კიდევ ერთი სასწაული საქართველოს ეკლესიის სიცოცხლისუნარიანობისა; მიუხედავად კომუნისტური რეჟიმის პირობებში ღვთის მსახურთა და მრევლის უკიდურესი დევნისა და დისკრიმინაციისა, ყოველგვარი ლოგიკის საპირისპიროდ, ჩვენ თვალწინ განვითარდა პროცესი სარწმუნოებრივი ცხოვრების მართლაც რომ საკვირველი ხელახალი დაბადებისა, აღორძინებისა და განვრცობისა.

**რა ვითარებაში იყო საქართველოს ეკლესია 40 წლის წინ?**

ეს იყო განადგურების პირას მიყვანილი საპატრიარქო ინსტიტუცია და სულიერად უკიდურესად დაუძლურებული სამწყსო.

1977 წელს საქართველოს ეკლესიაში იყო 6 მღვდელმთავარი, ორმოცდაათამდე სასულიერო პირი და ამდენივე მოქმედი ტაძარი. საზოგადოების უმეტესობა გაუცხოებული იყო ეკლესიისადმი და იყო დიდი ზნეობრივი რეგრესი.

აი, ასეთი უმძიმესი მემკვიდრეობა ჩაიბარა საქართველოს ეკლესიამ 40 წლის წინ. ამას კიდევ დაემატა ეროვნული მოძრაობის მღელვარე 80-იანი წლები, ხოლო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არანაკლებ რთული გარდამავალი პერიოდი - ორი სამოქალაქო და ორი სამამულო ომი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, არაჯანსაღი ინფორმაციული და ფსიქოლოგიური კლიმატი, არასტაბილური ოჯახური და სამსახურეობრივი პირობები, სოფლების დაცლა, მოსახლეობის ქვეყნიდან გადინება, დევნილობა და ლტოლვილობა.

ამ 40 წლის მანძილზე ეკლესიაში განვითარებული ძირითადი მიმართულებების ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ მიმდინარეობს არამარტო არსებული პრობლემების დაძლევა, არამედ ის ეპოქალური ცვლილებები, რომლებსაც საუკუნეების მანძილზე ელოდა ჩვენი ერი. ყოველი სასიკეთო ნაბიჯი ითხოვდა გიგანტურ ძალისხმევასა და თავის სრულ უარყოფას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ისმენს უფალი ჩვენს ლოცვას და აღასრულებს სასწაულს.

***პირველი სასწაული, რომელიც პატრიარქის აღსაყდრების პირველივე დღეს ვიხილეთ, იყო ერის ერთსულოვანი ნდობა სრულიად ახალგაზრდა საჭეთმპყრობელისადმი. მის პიროვნებაში ქართველი ერი ხედავდა არა მარტო ეკლესიის, არამედ ქვყენის აღორძინების წინამძღვარსაც. ეს მოლოდინი უმოკლეს დროში გამართლდა.***

საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდევნილი ეკლესია უცბად აღმოჩნდა საქვეყნო მოვლენების ცენტრში. საქართველოს საპატრიარქო და სიონის საკათედრო ტაძარი ეროვნული მოძრაობის უმთავრესი მორალური საყრდენი შეიქნა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაში უდიდესი იყო ეკლესიის წვლილი.

***პატრიარქის მოღვაწეობაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ჭეშმარიტად ეპოქალურ მოვლენას - კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობას უძველესი დროიდან. 15 საუკუნის განმავლობაში ჩვენი ერის რჩეული სასულიერო და საერო მოღვაწენი ცდილობდნენ ამ აღიარების მოპოვებას, მარამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწიეს. საკვირველია, რომ ეს მოხდა ჩვენი ეკლესიის ისტორიის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში - კომუნისტური რეჟიმის დროს.***

აღსაყდრების 40 წელი არ არის მხოლოდ პატრიარქის პიროვნული ღვაწლის აღნიშვნისა და დაფასებისადმი მიძღვნილი დღესასწაული. ეს არის სრულიად საქართველოს სულიერი აღდგომის ზეიმი; ერის მიერ საღმრთო დანიშნულების კვლავ გახსენების და მისი აღსრულებისათვის მზადყოფნის ზეიმი.

***სამწუხაროდ, წლის დასაწყისში ეკლესიასთან დაკავშირებულმა მღელვარე მოვლენებმა საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ხელი შეუშალასრულად გაეთავისებინა საიუბილეო დღეების მნიშვნელობა.***

ქრისტეს ეკლესიას დაფუძნების პირველივე დღეებიდან გაშმაგებით ებრძოდა ღვთის წინააღმდგომი ძალა. ეკლესიისათვის ფიზიკურ დევნაზე უფრო მძიმე ქრისტიანთა რიგებში შფოთისა და უთანხმოების შეტანა იყო. ბოროტი ძალის მანქანება იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთ შემთხვევაში თვით მოციქულებიც კი არ იყვნენ დაზღვეული უთანხმოებისაგან.

**ეკლესია ქრისტიანთა დიდი ოჯახია. როცა ოჯახს რაიმე სატკივარი აქვს, გვმართებს ერთმანეთის არა ქილიკი და განკითხვა, არამედ კურნების გზების ძიება და ჭირისუფლის შესაფერი გულისტკივილი. იქნებ დავფიქრდეთ, თუ რის ფასად უძლებს ამ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე აღორძინების გზაზე შემდგარი ეკლესია ხილული თუ უხილავი ძალების უმძიმეს ზეწოლას. ვიყოთ გულწრფელი, ვკითხოთ საკუთარ თავს - რამდენად კეთილსინდისიერად აღვასრულებთ ეკლესიის წევრის მოვალეობას**.

ის უკეთური მცდელობა, რომელსაც შეეძლო ჩვენი საერთო-სახალხო ზეიმის გაუფასურება, თავად აღმოჩნდა საუკეთესო საშუალება საზოგადოებაში არსებული ერთსულოვნების გამოვლენისა და დადასტურებისა.

***მოულოდნელმა განსაცდელმა არა მარტო დაგვანახა პატრიარქის გარშემო გაერთიანებული წმინდა სინოდის მღვდელმთავართა, ეკლესიის ღვთისმსახურთა და მრევლის ერთიანობა, არამედ კიდევ უფრო განამტკიცა იგი.***

ჩვენი იდენტობის უმთავრესი საფუძველი ქრისტიანობაა და მასთან ერის დაბრუნება არის შედეგი უმძიმესი 40 წლის მანძილზე პატრიარქის თავგანწირული ღვაწლისა. მისი უწმიდესობისადმი მადლიერების საერთო-სახალხო გამოხატულება იყო წლის დასაწყისში გერმანიაში სამკურნალოდ მყოფი პატრიარქისათვის აღვლენილი ერის საყოველთაო ლოცვა. ამ ლოცვამ სასწაული მოახდინა. ურთულესი და ფრიად სახიფათო ოპერაცია საუკეთესო შედეგით დამთავრდა.

***ასევე არ არის შემთხვევითი, რომ სწორედ საიუბილეო წელს ინდოეთში წარმატებით დაგვირგვინდა ქეთევან წამებულის წმინდა ნაწილების მოძიება. ინდოეთიდან ჩვენი მნათობის წმინდა ნაწილების ჩამობრძანება და მათი მადლის მოფენა საქართველოში არის კიდევ ერთი ნიშანი ღვთის მიერ ჩვენი პატრიარქისა და ერის კურთხევისა და ეკლესიის მოწამეობრივ ღვაწლში განმტკიცებისა.***

უფალმა წელს არც ღვთისმშობლის მადლი დაგვაკლო - მაისის თვიდან საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით საქართველოს ეპარქიებში მოგზაურობა დაიწყო აწყურისა და ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატების ზუსტმა ასლებმა. ამ ხატების სახით უხილავად თავად ღვთისმშობელი დაბრძანდება საქართველოში და ლოცავს თავის წილხვედრ ქვეყანას. ხატების მოგზაურობა დასრულდება 2018 წლის შემოდგომაზე.

მარიამობისა და ღვთისმშობლობის დღესასწაულებზე მისმა უწმიდესობამ განახლებული შემართებით კვლავ შეგვახსენა თავისი მოწოდება - ქართველნო, ერთად ღვთისაკენ.

დადგა ჟამი, როდესაც ეკლესიის თითოეულმა წევრმა სრულად უნდა გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა ღვთისა და მამულის წინაშე და შეუდგეს მის აღსრულებას. სწორედ ამ ჟამისთვის გვამზადებდა უფალი, პატრიარქის წინამძღოლობით 40 წლის მანძილზე.

უმძიმესი საშინაო თუ საგარეო გამოწვევების პირობებში ჩვენი ერი უნდა გაერთიანდეს როგორც სულიერ, ასევე ხორციელ ღვაწლში. არც ლოცვას აქვს ფასი შრომის გარეშე, და არც შრომას - ლოცვის გარეშე. მხოლოდ სინერგიით ანუ ღვთაებრივი და ადამიანური ძალების გაერთიანებით შევძლებთ ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემების მოგვარებას.

მისი უწმიდესობა მოგვიწოდებს სამშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 6 საათზე შევიკრიბოთ ტაძრებში, აღვავლინოთ ღვთისადმი სამადლობელი ლოცვა, მოვიფიქროთ და დავგეგმოთ საღვთისმსახურო, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო და ეკონომიკური პროექტები და ერთობლივად შევუდგეთ მათ თანმიმდევრულ განხორციელებას.

***პატრიარქის საგანგებო ლოცვა-კურთხევის საფუძველზე საქართველოს მართლმადიდებლებმა უნდა მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება, ჩვენს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დაწყებაზე და შევუდგეთ 2018 წლიდან ახალი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.***

**გიყვარდეს უფალი ღმერთი შენი - ეს არის პირველი და უმთავრესი მცნება.**

**მეორე მცნება, მსგავსი პირველისა, არის გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი თვისი.**

ჩვენი ცხოვრება ვერ გამოიღებს კეთილ ნაყოფს, თუ ჩვენ მხოლოდ საკუთარი სრულყოფით დავკმაყოფილდებით. საკუთარი პიროვნების წრთობასთან ერთად ჩვენ გვმართებს ზრუნვა მოყვასზე. ღვთისა და მოყვასის სიყვარულის მცნებების აღსრულების გზაზე მდგომ პიროვნებას ყველა საქმეში ხელი მოემართება და მუდამ გამარჯვებული და ბედნიერი იქნება.

***სამუშაოს ძებნაში დღეს ქვეყნის მოსახლეობის მესამედმა დატოვა სამშობლო, იცლება სოფლები, ინგრევა ოჯახები, ეცემა პროფესიონალური დონე.***

პატრიარქი მოგვიწოდებს, ქვეყნის უმთავრესი პრობლემების მოგვარებაზე ზრუნვას შევუდგეთ ერთობლივი ძალისხმევით. მდიდარი ქრისტიანული კულტურის მქონე ქართული საზოგადოება ყოველთვის გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით.**"ქუდზე კაცის" ტრადიციამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე. ჩვენ ვმადლობთ საქართველოს მთავრობას მოსახლეობაზე ზრუნვისათვის, მაგრამ არ შეიძლება მთელი პასუხისმგებლობის მხოლოდ ხელისუფლებაზე დაკისრება.** ჩვენსწინაშე არსებული სირთულეების დაძლევა შეუძლებელი იქნება საზოგადოების ერთსულოვნების გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი ცხოვრების წესის ქრისტიანულ მოძღვრებაზე დაფუძნებით.

მცირე ეკონომიკური პროექტების მიზანი არ არის ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის დონის გაუმჯობესება. მათი მიზანია ქართველმა კაცმა ქართულ მიწა-წყალზე შეძლოს საკუთარი ოჯახის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფა, უსაქმურობისა და უმოქმედობის დაძლევა, პროფესიული დონის ამაღლება, ქვეყნის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღების პროცესში წვლილის შეტანა. ყოველივე ეს განუმტკიცებს მას საკუთარი ძალებისადმი რწმენას, აღუდგენს ღირსების შეგრძნებას და აღარ იქნება იძულებული დატოვოს სამშობლო.

***ბოლო ოთხი ათწლეული ჩვენი ცხოვრებისა შეიძლება შევადაროთ ეგვიპტის მონობიდან გამოსული ებრაელი ერის 40-წლიან მოგზაურობას მოსეს წინამძღოლობით. მოსეს თავგანწირვამ ებრაელი ერი გამოიყვანა როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი მონობიდან. მოსეს მსგავსად პატრიარქმაც სრულად იტვირთა თავისი ერის ჯვარი და 40 წელია წინამძღოლობს ჩვენს სულიერ და ფიზიკურ ფერიცვალებას. ებრაელი ერის მსგავსად ჩვენც პერიოდულად ვიჩენთ უმადურებას ჩვენი სულიერი მამისადმი; ხოლო პატრიარქი მოსეს მსგავსად გვპატიობს და ღმერთს ევედრება, რომ არ დაგვსაჯოს ჩვენი უგუნურებისათვის***

ამ ურთულეს გზაზე, ბუნებრივია, მრავალი დაბრკოლება, უძლურება და შეცდომა იყო, მაგრამ დღეს, 40 წლის გადასახედიდან, გაოცებას და აღფრთოვანებას იწვევს ის მისიონერული ღვაწლი, რაც კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ქართველი ხალხის უფალთან მისაყვანად აღასრულა. ამ ღვაწლის სრულად აღწერა შეუძლებელია. შესაძლებელია მხოლოდ ძირითადი საქმეების არასრული ჩამოთვლა.

იგი მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ქადაგებდა - ქადაგებდა ყველგან: საშუალო სკოლაში სწავლის პერიოდში, სასულიერო სემინარიასა და აკადემიაში - მღვდლობისა და მღვდელმთავრობისას; მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მისმა ქადაგებამ პატრიარქობის პირველი დღიდან შეიძინა. საზოგადოებაში გავრცელდა ხმები, რომ ახალი პატრიარქი ამბიონიდან ჩვეულებრივი ადამიანისათვის გასაგებ ენაზე საუბრობს. ეს იყო შთამბეჭდავი სიახლე.

გახშირდა ღვთისმსახურება. მრევლისათვის ტაძარში ხშირი სიარულის მოტივაცია შეიქმნა. სიონის საკათედრო ტაძარში შაბათ-კვირისა და დღესასწაულების გარდა, კათოლიკოს-პატრიარქი ყოველ ორშაბათს პარაკლისზე ლოცავდა ბავშვებს, სამშაბათობით კი, მცირე პარაკლისის შემდეგ, ქადაგებას წარმოთქვამდა სამი სასულიერო პირი, მათ შორის, ხშირად - თავად უწმინდესი და უნეტარესი ილია II. ტაძრის ეკვდერში მოეწყო სამკითხველო, გაიხსნა მედავითნეობისა და გალობის კურსები; შეიქმნა ფსალმუნთა ჯგუფები: თითო ჯგუფში იყო 20 ადამიანი, რომელთა შორისაც ნაწილდებოდა ფსალმუნთა 20 კანონი. თითოეულ მათგანს ყოველდღე უნდა წაეკითხა თითო კანონი და მოეხსენიებინა ჯგუფის დანარჩენი 19 წევრი.

**მოძღვრის ინსტიტუტი საბჭოთა პერიოდში იყო მეტად შეზღუდული და თითქმის აკრძალულიც. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II იმთავითვე პირადად შეუდგა ურთულესი ამოცანის განხორციელებას - სულიერად დაუძლურებული ერიდან სასულიერო პირების გამორჩევას, კურთხევასა და მათ აღზრდას - სამოძღვრო ღვთისმეტყველებისა და აღსარების საიდუმლოს თეორიული და პრაქტიკული მხარის ახსნა-განმარტებას სასულიერო პირთათვის**.

ცხადია, სარწმუნოებისაგან, ეკლესიური ცხოვრებისაგან გაუცხოვებულ საზოგადოებაში სასულიერო პირების რიცხვის ასეთ სწრაფ ზრდას, როდესაც მათ სულიერი აღზრდა ბავშვობიდან არ ჰქონდათ მიღებული, თან ახლავს შეცდომები, უძლურება და ეს პასუხისმგებლობა კათოლიკოს-პატრიარქმა იმთავითვე იტვირთა. ამითაა განპირობებული მისი გამორჩეული მიმტევებლობა. იგი დღემდე ცდილობს, არავინ დასაჯოს, არამედ თავად იტვირთოს სიმძიმე და ლოცვით გამოასწოროს სხვათა შეცდომები - დასჯა კი, თუ ეს აუცილებელია, უფალს მიანდოს.

1987 წელს დაიწყო ხატების მოგზაურობა ოჯახებში, რაც დღემდე გრძელდება. თავდაპირველად ეს იყო დიდი ზომის სამი ხატი სიონის საკათედრო ტაძრიდან. ყოველ კვირას მოძღვარი და მრევლი ერთი ოჯახიდან ხატს მეორე ოჯახში გადააბრძანებდა, რასაც მოჰყვებოდა სახლის კურთხევა.

შუა კვირაში დაინიშნა მრევლის დღე, როდესაც მოძღვარი და მრევლის წევრები ერთად იკრიბებოდნენ და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას ეწეოდნენ. მრევლს დაევალა, აგრეთვე, სოციალურად დაუცველ ადამიანთა მოძიება და მათი სისტემატური მონახულება - იმ დროისათვის ეს რიცხვი მცირე იყო. მოგვიანებით ეს გადაიზარდა მშობლის ზრუნვას მოკლებული ბავშვების ქუჩიდან გამოყვანასა და მათთვის საგანგებო დასახლებათა შექმნაში. მსგავსი მოქმედებანი მანამდე წარმოუდგენელი იყო, რადგანაც, საბჭოთა კანონმდებლობით, ეკლესიას ქველმოქმედება ეკრძალებოდა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განსაკუთრებულად ზრუნავდა შვილგარდაცვლილი მშობლებისათვის, რომელთა რიცხვმა 90-იანი წლების დასაწყისში განსაკუთრებით იმატა. პატრიარქის პირადმა თანაგრძნობამ მრავალ მათგანს სიცოცხლის მოტივაცია გაუჩინა და გაუძლიერა. სიონის საკათედრო ტაძარში ყოველ შაბათს საგანგებო წირვა დაინიშნა გარდაცვლილი შვილების მოსახსენებლად, ხოლო მოგვიანებით, 1994 წელს, ასეთი მშობლების დახმარებით, საპატრიარქოსთან გაიხსნა უფასო სასადილო.

**ქართულ ენაზე ბიბლიის სრული ტექსტი მხოლოდ ხელნაწერებში არსებობდა ძველ ქართულ ენაზე. მე-19 საუკუნეში ბიბლია დაიბეჭდა, მაგრამ მისი ტექსტი იყო არასრული და მკითხველისათვის - ძნელად გასაგები. ამასთან, ეს წიგნი პრაქტიკულად არავის არ გააჩნდა. კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით შეიქმნა ბიბლიის მეცნიერულად დადგენილი ტექსტის გამომცემელთა ჯგუფი, რომლის მრავალწლიანი შრომის შედეგადაც 1989 წელს პირველად დაიბეჭდა ბიბლიის სრული ტექსტი ახალ ქართულ ენაზე.**

1988 წელს - 800 წლის შემდეგ - საქართველოში გაიხსნა უმაღლესი საღვთისმეტყველო სასწავლებელი - თბილისის სასულიერო აკადემია, რასაც მოგვიანებით მოჰყვა სხვა უმაღლესი სასულიერო და საერო სასწავლებლების დაარსება მთელ საქართველოში.

1989 წლიდან გამოდიოდა გაზეთი "მადლი", 1999 წლიდან კი - "საპატრიარქოს უწყებანი". დღეისათვის ხელმისაწვდომია მრავალი სხვა რელიგიური ჟურნალ-გაზეთი თუ ინტერნეტსაიტი.

1988 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ იმოგზაურა ჯავახეთში, რომელიც საბჭოთა პერიოდში საზღვრისპირა დახურულ რეგიონად ითვლებოდა და იქ ყოფნა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეიძლებოდა. კათოლიკოს-პატრიარქი ამოეწერა თბილისიდან და ჩაეწერა ჯავახეთის სოფელ ფოკაში მუდმივ მაცხოვრებლად. ამის შედეგად საპატრიარქომ ამ სოფელში წმ. ნინოს სახელობის XI საუკუნის ტაძრის გვერდით შეიძინა სახლი, სადაც 1992 წლიდან ფოკის წმ. ნინოს დედათა მონასტერი მოქმედებს. ტბის ნაპირას 1989 წელს დაარსდა ფოკის წმინდა ნინოს მამათა მონასტერი და აშენდა ტრაპეზი ღია ცის ქვეშ, სადაც, თითქმის 30 წელია, ყოველ 1 ივნისს, წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის დღეს, ტარდება სადღესასწაულო წირვა და იწყება მორწმუნეთა

(გაგრძელება გვ.6)

# საქართველო და 2017 წელი

2017 წელი მრავალი მოვლენით აღინიშნა არა მხოლოდ მსოფლიოში, არამედ საქართველოშიც.

ზოგჯერ ცხოვრება იმდენად მდორედ და დინამიურად მიედინება, გიჭირს გამოყო მთავარი მოვლენა, რომელმაც თავი დაგამახსოვრა. ამას გასულ წელზე ნამდვილად ვერ ვიტყვით.

მთავარი მოვლენის ნომინაციაში ადგილს არცერთ ფაქტს არ დაუთმობს თბილისში, გაბრიელ სალოსის ქუჩაზე განხორციელებული ანტიტერორისტული ოპერაცია, დასრულებული „ისლამური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ლიდერის - აჰმედ ჩატაევის ლიკვიდაციით;

მთავარ ცვლილებად კი კონსტიტუციური ცვლილებები უნდა განვიხილოთ, რომელმაც, დიდი ხმაურის მიუხედავად, რამდენიმეთვიანი განხილვის შემდეგ, მასში არასამთავრობო სექტორისა თუ ოპოზიციური პარტიების ჩართულობით, ახალი სიცოცხლე შეიძინა;

წლის ბოლოს განხორციელებული სამთავრობო ცვლილებები, რომელმაც ძალთა ახალი ბალანსი დაადგინა ხელისუფლების შიგნით;

ნარკოტიკების დეკრიმინალიზაცია; ცვლილება, რომელმაც საზოგადოება ვერ გააერთიანა, პირიქით, კიდევ უფრო ორად გახლიჩა, მის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

წლის მიღწევად შეფასდა ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის გახსნა , „აბრეშუმის გზის“ ფორუმი; თავისუფალი სავაჭრო რეჟიმი ჩინეთთან;

წლის სკანდალის სტატუსი „ციანიდის საქმეს “ ეკუთვნის, რომლითაც დაიწყო ლუსტრაციის პროცესები საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაში და, ამავე დროს, მისი ავტორიტეტის რყევა; თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესები პატრიარქის წინააღმდეგ იყო მიმართული, მისი ავტორიტეტის დაზარალება ვერ შეძლო, მაგრამ ჯანმრთელობა კიდევ უფრო შეურყია.

წლის ავანტიურად იქცა მსოფლიო ბანის პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა, რომელიც ფიასკოთი დასრულდა და ამჯერად პროკურატურაში გრძელდება.

საქველმოქმედო ფონდ „იავნანას” დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე პროკურატურამ დაკითხვაზე 13 დეკემბერს დაიბარა, თუმცა თავად მსოფლიო ბანი საქართველოში ჩამოსვლას 8 იანვრამდე არ გეგმავს. შესაძლოა, სწორედ 8 იანვარს გამოკითხოს ის პროკურატურამაც - პაატა ბურჭულაძემ გამოძიების კითხვებს „იავნანას” ფონდიდან დიდი ოდენობით თანხების შესაძლო მითვისება-გაფლანგვის საქმესთან დაკავშირებით უნდა უპასუხოს, მის წინააღმდეგ გამოძიების დაწყება კი ”ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ მოითხოვა.

წლის ტრაგედიად კი ვერაზე დატრიალებული მოვლენა იქცა, დაღუპული ბავშვებით და აგრესიის გარშემო გაერთიანებული საზოგადოებით...




## წლის მოვლენა



წლის მოვლენად შეიძლება განვიხილოთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რომელმაც კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ქვეყანაში მოსახლეობის მთავარი დაკვეთა მშვიდობიანი გარემოს არსებობა და სტაბილურობის განცდაა. სწორედ ასეთი იყო წინასაარჩევნო გარემო დედოფლისწყაროში-მშვიდი და ნაკლებად აჟიტირებული, პოლიტიკური პარტიებიც წყნარად, ზედმეტი ხმაურის გარეშე ატარებდნენ წინასაარჩევნო კამპანიას. არჩევნების დღეც ასეთივე იყო და შედეგიც. ადგილობრივი ხელისუფლების არჩევას მეორე ტური არ დასჭირდა, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის -მერის, ისე საკანონმდებლო ორგანოს (საკრებულოს) წარმომადგენელთა არჩევის თვალსაზრისით.

## წლის ცვლილება

მუნიციპალიტეტის გამგებელი მერმა შეცვალა, თუმცა, სახელწოდების გარდა ბევრი არაფერი შეცვლილა - მოქმედი გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერი გახდა და ფუნქციებიც იგივე დარჩა. მართალია, ამ ფაქტორის გამო დედოფლისწყარო ძლიერ“ საკადრო რყევებს“ კი გადაურჩა, მაგრამ 2017 წლის ბოლოს რამდენიმე ცვლილება მაინც განხორციელდა. მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ ხუმარაშვილი წინა მოწვევის საკრებულოს წევრმა აკაკი ნატროშვილმა შეცვალა, ყოფილი უფროსი კი, ჩვენი ინფორმაციით, ქვემო ქედის რწმუნებულის სკამს დაიკავებს, ოღონდ მას შემდეგ, რაც კონკურსში მიიღებს მონაწილეობას და სათანადო ბარიერსაც გადალახავს.

**მიილია კიდევ ერთი წელიწადი. როგორი იყო 2017 წელი დედოფლისწყაროსთვის? გაზეთმა „შირაქმა“ გადაწყვიტა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესები შეეჯამებინა.**




ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დედოფლისწყაროს ელექტორატმა ახალი საკრებულო აირჩია, თუმცა, ძირითადად, ძველი სახეებით დაკომპლექტებული. საკრებულოს თავმჯდომარეც იგივე დარჩა. მხოლოდ ერთი ცვლილება განხორციელდა, რომელიც საკრებულოში იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ექსხელმძღვანელის გიორგი გოგილაშვილის არჩევამ გამოიწვია – წყალმომარაგების კომპანიის ხელმძღვანელის ვაკანტური პოსტი ვაჟა მენთეშაშვილმა დაიკავა.

## წლის ინფრასტრუქტურული პროექტი

დედოფლისწყაროში 2017 წელი ინფრასტრუქტურული პროექტების სიუხვით გამოირჩეოდა. მთავარი პროექტის ნომინაციას არავის უთმობს ქედების ზონასთან დამაკავშირებელი გზის დასრულება, რომელმაც უამრავი პრობლემა მოუხსნა არა მხოლოდ ქედების ზონის მოსახლეობას, არამედ მიწათმოქმედებით დაკავებულ ადამიანებსაც.

2017 წელს დაიწყო და კვლავ მიმდინარეობს დედოფლისწყაროს შემოსასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კვლავ გრძელდებოდა საბავშვო ბაღების კეთილმოწყობა, რომელმაც ბაღების კონტიგენტი საგრძნობლად გაზარდა.

## წლის ყველაზე განათლებულები

ამ ნომინაციის მფლობელები გახდნენ დედოფლისწყაროს ის მოსწავლეები, რომლებმაც სკოლის დამთავრება ოქროსა და ვერცხლის მედლებზე შეძლეს და შემდეგ, უმაღლეს სასწავლებლებში, ერთიან ეროვნულ გამოცდებზეც მაღალი შედეგი აჩვენეს. შედეგი კი – მართლაც, შთამბეჭდავია – 17 ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი და 6 სტუდენტი 100%-იანი გრანტით.

# მსოფლიო მოვლენები და ადამიანები

მსოფლიოც არ ყოფილა დაწყნარებული 2017 წელს. ტერაქტების სერია და უამრავი დაღუპული ადამიანი.

უკრაინის წინასაწარი დაკავების იზოლატორში მოთავსებული და უკრაინის სასამართლოს მიერ გათავისუფლებული საქართველოს მესამე პრეზიდენტი და ამერიკის როლი სააკაშვილის უკრაინულ აქტივობაში;

ამერიკის ყველაზე ეგზოტიკური პრეზიდენტი და შემცირებული ინტერესი საქართველოს შიდაპოლიტიკური პროცესების მიმართ, მაგრამ იმავდროულად გაზრდილი სამხედრო დახმარება;

ჩვენს ტრადიციულ სტრატეგიულ პარტნიორ ქვეყნებში: თურქეთსა და აზერბაიჯანში მკვეთრი ავტორიტარული ტენდენციები და მათი გამკაცრებული ტონი საქართველოსთან ურთიერთობაში - აფგან მუხთარლისა და მუსტაფა ემრე ჩაბუქის გახმაურებული საქმეები;



თურქეთ-რუსეთის მზარდი პარტნიორობა - თურქეთ-რუსეთის პრეზიდენტების ლამის ყოველთვიური შეხვედრები; თურქეთ-რუსეთ-ირანის კაოლიცია სირიის საკითხში და არა მხოლოდ; მთავარი ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურება; ქურთების მიერ ჩატარებული რეფერენდუმი და დამოუკიდებელი ქურთული სახელმწიფოს ფორმირების მცდელობა;

ვერაფრით გამორჩეული მაკრონი და გერმანიის სათავეში კვლავ დარჩენილი მერკელი; პოლიტიკურად სრულად კასტრირებული ევროპის ფონზე მაჩო ლიდერები ჩვენს უშუალო სამეზობლოში: ერდოღანი და მეოთხე ვადით კენჭნაყარი პუტინი;

ტრამპის ბოლო „მაჩოური“ ნაბიჯი - იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადება, რომელსაც ევროკავშირისთვის უკვე ტრადიციულად ქცეული ქალური ვიშვიში, ისლამური სამყაროს აგრესიული აზვირთება და პალესტინელების ამბოხის ნიშნები მოჰყვა. თუმცა, ამ საკითხზე ერთიანობა არც ევროკავშირშია, სადაც უნგრეთი და ჩეხეთი ერთობლივ ანტიამერიკულ რეზოლუციას ბლოკავენ და ამერიკას მხარდაჭერას უცხადებენ და რეალურად, არც არაბულ სახელმწიფოთა შორის, რომელთათვისაც, მიუხედავად ერთიანი ოფიციალური, საჯარო პოზიციისა, დღეს ირანი უფრო დიდი გამოწვევა და პრობლემაა და საერთო ინტერესის საგანი ისრაელთან, ვიდრე თავად ისრაელი. ყოველ შემთხვევაში, ისრაელის მოლოდინი ასეთია.

**გვერდის მასალები მოამზადა**
ინგა შიოლაშვილმა

# კულტურა

კულტურა ჩვენი სავიზიტო ბარათია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. ის უდიდეს როლს თამაშობს ერის ისტორიაში. ამიტომ იგი პრიორიტეტს წარმოადგენს და დიდი ყურადღება ექცევა. მიილია კიდევ ერთი წელი და გავიხსენოთ, რა გაკეთდა მუნიციპალიტეტში ამ მიმართულებით. კულტურისა და ძეგლთა დაცვის ცენტრის დირექტორის ნონა ჯიბლაშვილის და მთელი კოლექტივის ძალისხმევით არ დარჩენილა მოვლენა, რომელიც მათ მუშაობაში არ ასახულიყოს. ჩვენ ხელთა გვაქვს ჩატარებულ ღონისძიებათა ნუსხა, რომელიც საკმაოდ ვრცელია. იგი შობის „ალილოს მსვლელობით“ და ძველი ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებით იწყება, მას დედის და ქალთა დღეებისადმი მიძღვნილი საღამოები მოსდევს, 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნის დღე აღინიშნა, 9 მაისს კი – ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავი. აპრილის ბოლოს წარმატებული ოჯახების დაჯილდოების ცერემონიალზე რესპუბლიკის ცნობილ სახეებთან ერთად ადგილობრივი თვითმოქმედების კოლექტივებმაც მიიღეს მონაწილეობა, რეზონანსული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი „პურის, ღვინის და ფოლკლორის“ ფესტივალი. უყურადღებოდ არ დარჩენილა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე – 1 ივნისი. ეს თარიღი ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ არლეკინოს“ არხილოსკალოში გასვლითი კონცერტით აღინიშნა. არც ხალხური სიმღერის გუნდ „ხორნაბუჯის“, გოგონათა ფოლკლორულ ანსამბლ „მანდილის“, ქორეოგრაფიული ანსამბლების „ქიზიყი“ და „შირაქი“ საანგარიშო კონცერტები დაჰკლებია მაყურებელს, ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ხორნაბუჯი“ მონაწილეობა მიიღო „არტგენი-2017“-ის ფესტივალზე და წარმატებებიც მოიპოვა, მათ მონაწილეობა მიიღეს, აგრეთვე, ქ.თელავში გამართულ „ ერეკლეობის“ დღესასწაულზე. ფართო მასშტაბით ჩატარდა სახალხო დღესასწაული „დედოფლისწყაროობა“. კვლავაც გაახარა მაყურებელი კულტურის სახლთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრმა „ბერიკონი“ (რეჟისორი ცარო მარტიაშვილი) რომელმაც დადგა კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი „ჩვენი შექსპირი“. დედოფლისწყაროელებმა თბილისის თავისუფალი და თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის თეატრების სპექტაკლებიც იხილეს დედოფლისწყაროს კულტურის სახლის სცენაზე. წინასაახალწლო ზეიმები გაიმართა დეკემბრის თვეშიც.

ნაყოფიერად იმუშავა ბავშვთა ხელოვნების სტუდია „არლეკინომ“ ნინო ლოლაშვილის ხელმძღვანელობით. მათ მოაწყეს შეხვედრა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებთან დევიზით „მზის შვილები“, ბავშვთა დაცვის დღეს ასფალტზე ხატვაში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, სტუმრად ეწვივნენ საბიბლიოთეკო გაერთიანებას და შეხვდნენე ბებიებს. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რაიონში გამართულ თითქმის ყველა მხატვრულ ღონისძიებაში.

დატვირთული იყო დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის (დირექტორი ლალი გურასპაული) წლიური კალენდარიც. აქ ეწყობოდა გამოფენები, ექსკურსიები მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სხვადასხვა სკოლიდან, მთელი კვირა – 18-დან 27 მაისამდე, გაგრძელდა მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და დაგვირგვინდა იგი ჰამლეტ გონაშვილის სახელობის ფოლკლორის და გალობის სკოლასთან ერთად ჩატარებული ძალიან საინტერესო ღონისძიებით „ღამე მუზეუმში“, ჩატარდა პოეტისა და ჩვენი რაიონის არაერთი ტაძრის ამშენებელი კირითხუროს – ზაურ გონაშვილის ხსოვნის საღამო, მოეწყო მუნიციპალიტეტის ღვაწლმოსილ მენავთობეებთან შეხვერდრა, სადაც წარმოდგენილი იყო მენავთობეობის ისტორია დედოფლისწყაროში.





საინტერესო იყო ხალხთა მეგობრობის მუზეუმის (დირექტორი ქეთევან მჭედლიშვილი) მიერ გაწეული სამუშაოები. ამ წელს მუზეუმს ხუთასამდე ინდივიდუალური ვიზიტორი და 280 დამთვალიერებელთა ჯგუფი სტუმრობდა, მათ შორის უცხოელებიც. მუზეუმების დღესთან საკავშირებით მოეწყო ნონა თარაშვილის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, ასევე ახალგაზრდა მხატვრის მარი ნიკვაშვილის და ეკატერინე კიკილაშვილის ხელნაკეთი ნივთების გამოფენა, ჩატარდა ტრენინგები საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრის დახმარებით თემაზე „სამუშაოს მოძიების უნარები“. მუზეუმს ხშირად სტუმრობდნენ მოსწავლეები, თავად მუზეუმის თანამშრომლები კი თვითნასწავლი მხატვრების, პოეტების და ხელოვანი ადამიანების მოძიების მიზნით აწყობდნენ შეხვედრებს სოფლის მოსახლეობასთან.

არანაკლებ დატვირთული იყო მუნიციპალური ბიბლიოეკის მუშაობა (დირექტორი მანანა მაჭარაშვილი). ბიბლიოთეკა ეს ერთ-ერთი ძირითადი რგოლია ჩვენი მომავალი თაობის აღზრდა-განათლების საქმეში და საზოგადოების ფორმირებაში. ამიტომ, აქ გამართული თითოეული ღონისძიება სწორედ ამ მიზნებს ემსახურება. ღონისძიებები ტარდება როგორც ცენტრალურ, ასევე სოფლის ბიბლიოთეკებშიც, რაც სოფლად მცხოვრები ადამიანებისათვის ერთ-ერთ ნათელ წერტილად შეიძლება ჩაითვალოს. იმდენად მოცულობითია ბიბლიოთეკების მიერ ჩატარებული ღონისძიებების ჩამონათვალი, რომ მათი ერთ საგაზეთო წერილში დაწვრილებით მიმოხილვა ძნელია: ყველგან ეწყობოდა თემატური გამოფენები, ეწყობოდა ახალი მხატვრული თუ დოკუმენტური წიგნების, ალმანახების პრეზენტაციები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ლექციათა ციკლი საერო თუ საეკლესიო დღესასწაულებთან დაკავშირებით, გამოჩენილი ქართველი მწერლების ილია ჭავჭავაძის, რევაზ ინანიშვილის, ნოდარ დუმბაძის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეებისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამოები, საინტერესო იყო №1 საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარებული „ვეფხისტყაოსნის“ კითხვის დღე და სახვა.

კულტურის დარგის მუშაობას წარმატებით ხელმძღვანელობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრულ საქმეთა სამსახურის უფროსი თამარ თამაზაშვილი.

კულტურის დარგის მუშაკებს ვულოცავთ შობა-ახალწელს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ნაყოფიერ დამდეგ წელს.

ნაირა გორაშვილი

# აგიხდებათ ოცნებები მრავალი

კარზე მოგვადგა კიდევ ერთი ახალი – 2018 წელი. ყველა მღელვარებით, ახალი სურვილებით და იმედებით ელოდება მის შემობრძანებას, გამორჩეულად კი – ბავშვები. ისინი ამ თარიღისადმი მიძღვნილ ზეიმებსა და კარნავალებს აწყობენ და თოვლის პაპასთან ერთად ხალისობენ. გამონაკლისი არც ქალაქის №3 საბავშვო ბაგა-ბაღი გახლავთ. აქ თითქმის ყველა ჯგუფმა ჩაატარა საახალწლო ზეიმი. ჯერ 2-3 წლიანთა ჯგუფმა მოიწონა თავი და მასწავლებელ ნანა სეხნიაშვილთან, თანაშემწე ხათუნა მენთეშაშვილთან ერთად, ძიძა ნინო ღორაშვილის მეურვეობით სცადა, გადმოეცა თავისი ემოციები.

შემდეგ დარბაზი 5-6 წლიანთა ჯგუფმა დაიკავა. სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი 27 ლამაზი გოგო-ბიჭი სცენას დაეუფლა და დაიწყო მოლხენა: გიორგი გურამიშვილი და ანა ჯამასპიშვილი ზეიმს ხსნიან, მალევე ზეიმში კომბლე (საბა ნერსესოვი) და მისი ცხვრები (ბექა აკობიძე და ლუკა ლიქოკელი) ერთვებიან, მათ წუნას, წრუწუნას და ფიცხელას ფორმაში გამოწყობილი ანდრია ჯეთერიშვილი, ბაჩო ბიჩელაშვილი და სალომე სეფიაშვილი უერთდებიან, ეს ფიფქები - თამუნა მარტყოფლიშვილი, ეკა ღვინიაშვილი, ნინო გოჩიტაშვილი, მარიამ ჩოქური და მარიამ აჩელაშვილი შემოფარფატდნენ ნარნარი რხევით, სიმღერით სოფლის აშენებას ცდილობენ ძაღლი (ლუკა კედელაშვილი), მამალი (ირაკლი ზურიკაშვილი) და მელია (ნიკოლოზ ქადაგიძე), აი, მშვენიერი წითელქუდა (ანა-მარია ნერსესოვი) მოსეირნობს ტყეში და, მართალია, მგელსაც (გიორგი ქართველიშვილი) გადაეყარა, მაგრამ... ახალმა წელმა მგელიც კი გააკეთილშობილა და გადააფიქრებინა წითელქუდას შეჭმა, აქ არიან საყვარელი ჯუჯები–ანდრია ზუბიაშვილი და ერეკლე ლაპიაშვილი, პავლე პოჟიდაევი და გვანცა ჯეთერიშვილი კი თოვლის გუნდები არიან და ფაფუკ, ფუმფულა სამოსში გამოწყობილები ხელოვნური თოვლით დაფარულ სცენაზე ათასგვარ ილეთებს ასრულებენ, მაყურებელი მოხიბლა თამუნა ჯალიაშვილის როკ ენდ როლმა. ბავშვები თოვლის პაპას უხმობენ და ისიც საჩუქრებით სავსე ხურჯინით სტუმრობს მათ. მას ახალი წელი (ლუკა მუჟიჩენკო) ეგებება. თოვლის პაპას ლექსებით აწონებენ თავს ერეკლე მეხრიშვილი, გიგი რაჯაბაშვილი, გიორგი სესიტაშვილი და სხვები. ბავშვები სიმღერითა და ცეკვებით ართობენ თოვლის პაპას და სულმოუთქმელად ელოდებიან საახალწლო საჩუქრებს. საჩუქრებიც დარიგდა.





პატარებს ახალი წელი მიულოცა ბაგაბაღის დირექტორმა მაია ფოცხვერაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა მათ აქტიურობისათვის და შეაქო ჯგუფის აღმზრდელი ქეთი ჯალიაშვილი, თანაშემწე მარიტა ბექიშვილი, მუსიკის მასწავლებელი ხათუნა ჯანაშვილი და ძიძა ირინა ხარებაშვილი გაწეული დიდი შრომისათვის და საინტერესო ზეიმის მომზადებისთვის. ღონისძიებას ესწრებოდნენ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საალმზრდელო ცენტრის დირექტორი მაია ყოჩიაშვილი და უფროსი სპეციალისტი ეკატერინე ლომსაძე.

მაია ყოჩიაშვილმა გამორჩეული მადლობა გადაუხადა და სიგელი გადასცა აღმზრდელის თანაშემწეს – მარიტა ბექიშვილს დარბაზის გამორჩეული დიზაინით გაფორმებისა და დეკორაციის მოწყობისათვის. დარბაზი კი ნამდვილად შესანიშნავად იყო გაფორმებული, რასაც დახვეწილი გემოვნება და დიდი შრომა აშკარად ეტყობოდა.

ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

ნაირა გორაშვილი

# 2017 წლის სპორტსმენი და სპორტული მიღწევები



2017 წელი წარმატებული აღმოჩნდა დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდობის განვითარების კუთხით. მიღწევები ნამდვილად ღირსეულია და მას დაფასება სჭირდება. ნიშანდობლივია, რომ ბოლო წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრისთვის თვითმმართველობის მიერ გაწეულმა ყურადღებამ და შესაბამისმა დაფინანსებამ, როგორც სპორტის პედაგოგების მიმართ, ასევე სპორტსმენების ჩემპიონატებზე გასამგზავრებლად თანხების მობილიზების ორგანიზებულებამ, თითოეული აქ მომუშავის სტიმული გაზარდა, რაც დადებითად აისახა ყველა სახეობის სპორტულ თუ ახალგაზრდულ საქმეში.

ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი 2017 წელს არის ლაშა ბექაურის მიერ მოგებული ევროპის თასი. ლაშამ მიმდინარე წელს სლოვაკეთში მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა და ასახელა ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ის წლის სპორტსმენის ტიტულს უდაოდ იმსახურებს.

ძიუდოში ამ წელს მესამე, მეორე საპრიზო ადგილები მოუტანეს ჩვენს რაიონს ვაჟა ბაბუნაშვილმა, ნიკა კობაიძემ, გიორგი დიდებაშვილმა და ია მაისურაძემ.

თავისუფალ ჭიდაობაში 2017 წელს გელა ქოქუაშვილმა გვასახელა. ძალისმიერ სამჭიდში 19-მა სპორტსმენებმა მოგვიტანა გამარჯვება. აქედან 11 სპორტსმენი ოქროს და ორი ვერცხლის ჯილდოთი დაბრუნდა.

წარმატებული აღმოჩნდა შავი ზღვის ქვეყნების თასის საერთაშორისო ტურნირი



დედოფლისწყაროსთვის, საიდანაც 13 ოროს და 2 ვერცხლის მედალი ჩამოგვივიდა. 30 აპრილს თავისუფალ ჭიდაობაში საკმაოდ დიდი გამარჯვება განგვაცდევინა ნუკრი ქოზაშვილმა, რომელიც 2 ოქროს მედლით ხელდამშვენებული დაგვიბრუნდა ევროპის პირველობიდან. ნუკრიმ ასევე იასპარეზა 2 მაისს ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის და აქედანაც გამარჯვებით დაბრუნდა.

23-25 ივნისს გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში ძალისმიერ სამჭიდში დედოფლისწყაროელებმა 15 ოქროს და 2 ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

საკმაოდ ნაყოფიერი გახლდათ ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის 28-29 ოქტომბერს საქართველოს თასის ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში,

25 აპრილს თბილისის საერთაშორისო ტურნირში გამარჯვება მოიპოვეს ლევან წიკლაურმა და თეონა ფიროსმანაშვილმა. 26 მაისს კი, ბაქოში საერთაშორზე ტურნირზე ჩემპიონები გახდნენ ცხოვრებაძე, ფიროსმანაშვილი, ქიბიშაური, მიკოლა.

11 ივნისს კიკბოქსინგში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი მარნეულში, საიდანაც 12 პირველი ადგილი მოიპოვა ჩვენმა გუნდმა.

16-18 ივნისს



საიდანაც 19 ოქროს და 4 ვერცხლის მედალი მოიპოვა 12 სპორტსმენმა.

რაც შეხება კიკბოქსინგს. მოგვეხსენება ჩვენს რაიონში კიკბოქსინგის განვითარება ათწლეულებს ითვლის და ამ სპორტის სახელი თამაზ ყარაგვეზაშვილს უკავშირდება. სასიხარულოა, რომ მას შვილის, არსენ ყარაგვეზაშვილის სახით ამ საქმის საუკეთესო გამგრძელებელი და საკმაოდ წარმატებული სპორტსმენი უდგას გვერდში. 14 იანვარს ბაქოში ორთაბრძოლების საერთაშორისო ფესტივალზე ჩემპიონის ქამარი მოიპოვეს არსენ ყარაგვეზაშვილმა და ვალერი ვაჭრიძემ. მეორე ადგილებს დასჯერდნენ ლევან წიკლაური, მალხაზ ჯაგაშვილი, ირაკლი ჯამასპიშვილი და თეონა ფიროსმანაშვილი.

ბათუმში ჩატარდა „შავი ზღვის თასი", აქედანაც ჩვენმა სპორტსმენებმა 7 პირველი ადგილი მოიპოვეს, 4- მეორე ადგილი, 3 - მესამე ადგილი.

22-23 ივლისი-მარნეული, მოიპოვეს 7 პირველი ადგილი.

1 აგვისტოს დედოფლისწყაროობაზე ჩატარებულ ტურნირზე 11 -მა სპორტსმენმა მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

5 აგვისტოს ბათუმში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ცხოვრებაძემ პირველი ადგილი მოიპოვა.

11 სექტემბერს აზერბაიჯანის ტურნირზე პროფესიონალებში ქამარი მოიპოვეს არსენ ყარაგვეზაშვილმა და ნოდარ ცხოვრებაძემ; 15 ოქტომბერს სიღნაღში დაიკავეს ორი პირველი და ორი მეორე ადგილი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის ახალგაზრდობის საქმეთა მთავარი სპეციალისტის ლელა ბილიაშვილის თქმით, 2017 წელი ნაყოფიერი გახლდათ მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის წინსვლის კუთხითაც. ამ წელს ორ ეტაპად ჩატარდა გაზაფხულის და შემოდგომა-ზამთრის ჩემპიონატები ინტელექტუალური თამაშის - „რა, სად, როდის?" გაზაფხულის ჩემპიონატი, როგორც უფროსკლასელთა, ასევე, უფროსი ასაკის მოთამაშეებს შორის. უფროსკლასელებში პირველი ადგილი დაიკავა დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის გუნდმა „პიტნა" ხოლო, უფროსკლასელებში ჩემპიონი გახდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს გუნდი „საფიხვნო". გამარჯვებულებს სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

2017 წელს დედოფლისწყაროელმა ახალაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს ლაშქრობაში-„საქართველოს თასი" რომელიც ორ ეტაპად გაიმართა. პირველ ეტაპზე თბილისის ეროვნულ პარკში, კახეთში ყველა მეტოქე გუნდს სძლიეს, ხოლო მეორე ეტაპზე, რომელიც ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკში გაიმართა, ჩხოროწყუელ მოლაშქრეებს რამდენიმე წუთით ჩამორჩნენ და საბოლოო ჯამში ლაშქრობაში გარდამავალი „საქართველოს თასის" გათამაშებაში მეორე საპატიო ადგილი დაიკავეს. ასევე 2017 წელს დედოფლისწყაროელი მოსწავლეები იმყოფებოდნენ ლაგოდეხში „ფერების ფესტივალზე" აღნიშნული ფესტივალის ფარგლებში გაიმართა შეჯიბრი კროსში, სადაც მახო ჯაგაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა.

მნიშვნელოვანი გახლდათ საფეხბურთო ტურები. კახეთის 2017 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში 2004-2005 წელს დაბადებულ ბავშვთა გუნდებს შორის მონაწილეობდა 16 გუნდი. პირველ ჯგუფში დედოფლისწყაროს გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი და გადაეცა გიორგი ბურდულის სახელობის თასი.

ბედნიერ დამდეგს ვუსურვებთ ჩვენს სპორტსმენებს. მომავალ 2018 წელსაც მრავალი გამარჯვება გვეზეიმოს ერთად.

ლალი მეხრიშვილი

---

2017 წელი ნაყოფიერი იყო არსენ ყარაგვეზაშვილისთვისაც. ლაშა ბექაურის შემდეგ ის ყველაზე გამორჩეული დედოფლისწყაროელი სპორტსმენია.



არსენ ყარაგვეზაშვილი: „ჩემთვის 2017 წელი ძალიან წარმატებული იყო, ყველა ბრძოლაში ნოკაუტით გავიმარჯვე. უმაღლეს ჩემპიონატებზე მივიღე მონაწილეობა და მთლიანობაში ისეთი შედეგი ვაჩვენე, რომელზეც მანამდე არ კი მიოცნებია...

პროფესიონალური ბრძოლა მოვიგე საერთაშორისო ტურნირზე კ1-ში სადაც ირანელი სპორტსმენი ნოკაუტით დავამარცხე და ჩემპიონის ქამარს დავეუფლე. ქალაქ ბაქოში ასევე ნოკაუტით გავიმარჯვე პროფესიონალებში ტაილანდურ კრივიში „რინგის მეფეები" ეს ბრძოლაც ნოკაუტით დავასრულე და ჩემპიონის ქამარს მეორედ დავეუფლე!

მსოფლიო თასი მოვიპოვე ქალაქ სტამბულში გამართულ ჩემპიონატზე შერეულ ორთაბრძოლებში. აქაც ნოკაუტით დავამარცხე თურქი მებრძოლი და საქართველოდან პირველმა მოვიპოვე ტიტული ორთაბრძოლების ამ სახეობაში.

ეს წელი ნაყოფიერი და შთაბეჭდილებებითაც დატვირთული აღმოჩნდა. ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქმა ბაქომ, სადაც 2008 წელს ვიყავი და მას შემდეგ უკვე წელს მივიღე მონაწილეობა ტურნირზე, საოცრად განვითარებული, გალამაზებული და მოწესრიგებული ქალაქი დამხვდა. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქის ცენტრში ახლად აშენებულმა ცათამბჯენებმა და ზღვაზე თეთრი ქვიშის პლაჟებმა, ეს ქალაქი ასეთ მოკლე დროში თუ განვითარდებოდა და წინ წავიდოდა, ნამდვილად არ მოველოდი და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი.

ქალაქ სტამბულის შეფასებაში სიტყვებიც არ მყოფნის. ისეთ ქალაქებში ვარ ნამყოფი როგორიცაა პრაღა, ბანგკოკი, ვენა, ანტალია და აშშ.. მაგრამ სტამბოლმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა ეს არის უზარმაზარ ტერიტორიაზე დასახლებული ქალაქი, სადაც 20 მილიონი მოსახლე ცხოვრობს, ქალაქი უნიკალურია იმითაც, რომ სულ მოკლე დროში შეგიძლია მოხვდე ევროპაშიც და აზიაშიც... ულამაზესი ზღვა, ხედები, შენობები... მრავალი ეროვნების ადამიანი, წარმოუდგენლად ლამაზი სანახაობაა".

ილია მარტყოფლიშვილი

# „რაც უფრო ძლიერდება ეკლესია, მით უფრო იზრდება მასთან დაპირისპირება“

(მეორე გვერდიდან)

ლოცვითი მსვლელობა წმინდა ნინოს გზაზე - ფარავნის ტბიდან მცხეთამდე, რომელიც დღემდე გრძელდება; ამ მსვლელობაში ასობით ადამიანის მიუღია მონაწილეობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან. ამ მსვლელობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ბევრი მღვდელმთავარი, მღვდელი თუ ბერ-მონაზონი.

***1991 წელს საქართველოს საპატრიარქოში დაარსდა მისიისა და ევანგელიზაციის განყოფილება, რამაც კათოლიკოს-პატრიარქის მისიონერულ მოღვაწეობას კიდევ უფრო მეტი გასაქანი მისცა.***

***ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ათონიდან ჩამობრძანებულმა ზუსტმა ასლმა 2006-2007 წლებში მთელ საქართველოში იმოგზაურა.***

შეიქმნა და განვითარდა საეკლესიო ჰერალდიკა. უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანდება ავტორი საქართველოს საეკლესიო დროშისა, რომელზედაც წმინდა ნინოს ჯვარია გამოსახული, და ხუთჯვრიანი სახელმწიფო დროშისა, რომელიც სახელმწიფო დროშად გამოცხადებამდე წლების განმავლობაში საეკლესიო დროშა იყო. ხუთი ჯვარი სიმბოლურად აღნიშნავს ხუთ ჭრილობას ქრისტეს სხეულზე, ხოლო სქელი და ვიწრო ლურჯი ზოლების შეერთება წმინდა ნინოს დროშაზე განასახიერებს კავშირს თაობათა შორის. კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა საპატრიარქოს გერბიც.

**უწმინდესი და უნეტარესი ილია II პირადად დადიოდა სასჯელ-აღსრულების დაწესებულებებში, მათ შორის - სიკვდილმისჯილ პატიმრებთან. 1997 წელს საქართველოს პარლამენტმა, კათოლიკოს-პატრიარქის წინადადებით, მიიღო კანონი სიკვდილით დასჯის გაუქმებისა და ევთანაზიისა და მაში თანამონაწილეობის აკრძალვის შესახებ.**

2002 წელს ხანგრძლივი ერთობლივი მუშაობის შედეგად გაფორმდა კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, რითაც აღდგა ისტორიული სამართლიანობა და განისაზღვრა ეკლესიის ადგილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში.

**2000 წლის 7 იანვარს, ალპინისტების დახმარებით, სადღესასწაულო წირვა ჩატარდა 4100 მეტრის სიმაღლეზე, მყინვარის ბეთლემის გამოქვაბულში, რომელიც პოეტურად აღწერილი აქვს წმინდა ილია მართალს, ჭავჭავაძეს, თავის პოემაში "განდეგილი". *გამოქვაბულში მცხოვრები ბერის დაცემა სიმბოლურად საქართველოს სულიერ მდგომარეობას განასახიერებს, ამიტომ ქრისტეშობის 2000 წლისთავზე ამ გამოქვაბულში წირვის ჩატარებას და ღვთისმსახურების აღდგენას ქართველი ხალხისთვის განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობა მიენიჭა. მანამდე, 1998 წელს, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის კურთხევით, მყინვარწვერის ფერდობზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე დაიდგა ყოვლადწმინდა სამების ალუმინის ტაძარი, რომელიც დღესაც მოქმედია.***

მრავალი საუკუნის შემდეგ საქართველოში აღდგა წმინდანად შერაცხვის წესი, რომლის გარეშეც ავტოკეფალური ეკლესია სრულყოფილად ვერ იფუნქციონირებს.

ეკლესიის გაძლიერებას მოჰყვა აღმშენებლობის მძლავრი პროცესი. აშენდა, განახლდა და აღდგა ტაძრები და მონასტრები.

საქართველოს ისტორიაში პირველად დაარსდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები მის ფარგლებს გარეთ. ქართველი ბერები მოღვაწეობენ ათონის წმინდა მთაზე სხვადასხვა მონასტრებში.

***უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, 1980-იანი წლების დასაწყისში მოიხატა დიდუბისა და სიონის ტაძრები, რითაც საფუძველი დაედო ქართული ხატწერის აღორძინებას. დიდუბის ეკლესიის კედელზე წმ. მეფე თამარის ხატი თავად შექმნა. მანვე, შექმნა შემდეგი ხატები: წმ. გიორგი, წმ. ვახტანგ გორგასალი, წმ. მთავარანგელოზი მიქაელი, წმ. მთავარანგელოზი გაბრიელი, ღვთისმშობელი, წმ. სამება, წმ. დავით წინასწარმეტყველი, წმ. სოლომონ მეფე, უფალი საბაოთი და მრავალი სხვა ხატი და ნახატი. მისი ლოცვა-კურთხევით, 1980-იანი წლებიდან აღდგა და განვითარდა უძველესი ქართული ტრადიციული ტიხრული მინანქარი. მოგვიანებით შეიქმნა სახელოსნო "ფოკანი", რომელიც დღეს მთელ მსოფლიოშია ცნობილი.***

განვითარდა კალიგრაფია, ხელით გადაიწერა და მინიატიურებით შეიმკო დიდი ზომის უნიკალური სახარება, რომელიც წმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში ინახება და სხვ.

შეიქმნა ჭედურობის, ხატ-გობელენების ქსოვისა და თექის მხატვრული დამუშავების სახელოსნოები.

აღდგა და განვითარდა ქართული საეკლესიო ნაქარგობა. ხელით მოიქარგა პატრიარქის შესამოსელი, სამების ტაძრის დიდი დაფარნები და მრავალი სხვა ნივთი, რომლებიც სამუზეუმო ღირებულების მაღალი ხელოვნების ნიმუშებია. **აღდგა მივიწყებული ქართული გალობა. 40 წლის წინ საქართველოს ტაძრებში ევროპული და რუსული ყაიდის საგალობლები სრულდებოდა. პატრიარქობის პირველივე დღიდან უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ ქართველ კომპოზიტორებს შეუკვეთა ლიტურგიკული და სხვა შინაარსის საგალობლები, ხოლო მოგვიანებით ანჩისხატის მგალობლების თაოსნობით აღდგა უძველესი ქართული გალობა, რომელიც დღეს, პრაქტიკულად, ყველა ქართულ ტაძარში სრულდება.**

პირადად კათოლიკოს-პატრიარქმა შექმნა უკვდავი საგალობლები: "წმინდაო ღმერთო", "მსწრაფლ განუხვენ სინანულისა ბჭენი", "გიხაროდენ, ფრიად შვენიერო", "უფალო, შეგვიწყალენ", "ისპოლა-ეტი-დესპოტა", "მამაო ჩვენო ", "წმიდა არს უფალი ღმერთი ჩვენი", "მოდი ჩემთან, უფალო", "დიპტიქი", მიცვალებულთა კვერექსი, "კირიე-ელეისონ", "ალილუია", ევქარისტიული კანონი და სხვა მრავალი.

***ბოლო დროს მათ დაემატა საგალობლები ლათინურ ენაზე: "ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ" ანუ "ავე-მარია", "ტარიგი ღვთისა" ანუ "აგნუს-დეი", "წმინდა არს," ანუ "სანქტუს" და სხვანი, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს.***

კათოლიკოს-პატრიარქის ხელშეწყობით აღდგა და განვითარდა საეკლესიო-სამეურნეო საქმიანობა. აღორძინდა და განვითარდა მეაბრეშუმეობა, გავრცელდა ხორბლის ქართული ჯიშები. ეპარქიებში და მონასტრებში აღდგა ღვინის დაყენების ტრადიცია და ძველი მარნები; დაწყო სხვადასხვაგვარი საეკლესიო ღვინის წარმოება, რომელთაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. საქართველოს საპატრიარქო მხარს უჭერს ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოებას. ყველა ეპარქიაში მეტ-ნაკლებად დასაქმებულია მოსახლეობა და მრევლი, რაც მინიმალური საეპარქიო ხარჯის დაფარვის საშუალებას იძლევა. დიდი ყურადღება ექცევა გამწვანებას.

**უწმინდესი და უნეტარესი ილია II განსაკუთრებით ლოცულობს და ზრუნავს საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთათვის. ესენი არიან ინგილოები, ფერეიდნელები, ლაზები და თურქეთში მცხოვრები სხვა ქართველები, ძველ თუ თანამედროვე ემიგრაციაში მყოფი თანამემამულეები ევროპაში, ამერიკაში და სხვაგან. მისი ლოცვა-კურთხევით 1992 წელს პირველად ჩატარდა ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც რამდენჯერმე განმეორდა და სამშობლოსაგან მოწყვეტილი მრავალი ადამიანის დაბრუნების საფუძველი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თბილი და მეგობრული ურთიერთობა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებთან, რაც ტოლერანტობის უნიკალური მაგალითია.**

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საქართველოში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს: სოციოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ მრავალი წელია საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ყველაზე დიდ ნდობას სწორედ მას უცხადებს.

უწმინდეს და უნეტარეს ილია II-ს იცნობენ და აფასებენ მთელ მსოფლიოში. პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში ის პირადად შეხვედრია მსოფლიოს ყველაზე ცნობილ და გავლენიან პიროვნებებს - მართლმადიდებელ პატრიარქებს, სხვა ქრისტიანული თუ არაქრისტიანული რელიგიების ლიდერებს, სხვადასხვა ქვეყნის პრეზიდენტებს, მსოფლიოს ცნობილ პოლიტიკოსებს, მეცნიერებსა და ხელოვანებს - ლეგენდარულ პიროვნებებს, რომელთა სრულად ჩამოთვლაც კი შეუძლებელია. აზერბაიჯანის რელიგიური ლიდერი, კავკასიის მუსლიმთა საბჭოს თავმჯდომარე - შეიხ ულ-ისლამ ჰაჯი ალაჰ-შუქურ ფაშა-ზადე - მას ხშირად თავის მოძღვარსაც კი უწოდებს.

***საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამდე, XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფ საქართველოს საეგზარქოსოში სულ ხუთიოდე ეპარქია იყო. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ეპარქიათა რაოდენობა 15-მდე გაიზარდა, თუმცა მათი უდიდესი ნაწილი საბჭოთა პერიოდში გაუქმდა.***

1977 წლის 25 დეკემბრისათვის, როდესაც ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი გახდა, მხოლოდ 6 ეპარქიას ჰყავდა მღვდელმთავარი, რომელნიც მსახურებას, ძირითადად, თბილისის ტაძრებში აღასრულებდნენ; **მთელ საქართველოში მოქმედებდა 48 ტაძარი, 2 მონასტერი - სამთავროსი და წმ. ეკატერინესი (ოლღასი); ქართულ ენაზე ხელმისაწვდომი არ იყო საღვთო წერილი, ლოცვანი და სხვა სასულიერო ლიტერატურა, რის გამოც მორწმუნენი მათ ხელით იწერდნენ; არ არსებობდნენ ქართველი სტიქაროსნები. ჯერ კიდევ 1987 წელს, როდესაც თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 10 წლის იუბილე აღინიშნა, მისალოცად ჩამოსული საქართველოს ეკლესიის სამღვდელოება სიონის ტაძრის ამბიონზე ეტეოდა.**

დღეს კი, 40 წლის შემდეგ, 2017 წლის 25 დეკემბრისათვის, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში არის 49 ეპარქია, რომელთაგან, ისტორიაში პირველად, 7 ეპარქია - საქართველოს ფარგლებს გარეთაა. 47 მღვდელმთავარი, 3500-მდე სასულიერო პირი, 400-მდე მოქმედი მონასტერი, 1500 მოქმედი ტაძარი; თითქმის ყველა წირვა-ლოცვაში, სასულიერო პირების გარდა, მონაწილეობენ სტიქაროსნები და ეს მაჩვენებლები მუდმივად იზრდება; განახლდა სასულიერო განათლების კერები, რომლებიც ლეგენდებად ქცეულ ძველ ისტორიულ სახელწოდებებთან ერთად თანდათან იბრუნებენ სწავლის უმაღლეს ხარისხს.

დღეს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში უკლებლივ ყველა მღვდელმთავარი პირადად კათოლიკოს-პატრიარქის მიერაა ნაკურთხი.

ყველაფრის სათითაოდ აღწერა შეუძლებელია.

***მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის მიერ გადადგმული თითოეული ახალი ნაბიჯი, მის მიერ აღსრულებული კიდევ ერთი კეთილი საქმე, მისი მორიგი ღვაწლი ხდება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და მუდმივად აჭარბებს წინა სულიერი შრომის ყველა ნაყოფის ჯამს.***

ამისი ერთ-ერთი ნათელი, თვალსაჩინო მაგალითია მამა გაბრიელის წმინდანად შერაცხვა, რომელიც მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის პირადი დაბეჯითებული მოთხოვნითა და წმინდა სინოდის წევრთა ერთსულოვანი თანხმობით მოხდა. ეს იყო მორიგი ნაბიჯი, რომელიც წინა კანონიზაციებს ეფუძნებოდა და დღეს მამა გაბრიელის წმინდანად აღიარება არნახული სისწრაფით იზრდება მთელს მართლმადიდებელ სამყაროში. სამების ტაძარში მისი წმინდა სხეულის გადმოსვენებისას მომლოცველთა სადღეღამისო რიგი რამდენიმე თვის განმავლობაში არ შეწყვეტილა. საქართველოსათვის ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო. ამ დღეს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ ***ამ ერთმა ადამიანმა - მამა გაბრიელმა შეცვალა მთელი საქართველო.***

ადამიანის სიდიადის სრულად დასანახავად საჭიროა არანაკლები ან უფრო მეტი სიდიადე. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ მამა გაბრიელის პიროვნება დაინახა მაშინ, როდესაც ის იყო დევნილი, გვემული და ადამიანთაგან შეურაცხყოფილი. შეიწყნარა იგი, განწმინდა, როგორც ტალახში ჩავარდნილი მარგალიტი და მთელ მსოფლიოს დაანახვა მისი ბრწყინვალება.

**და თუკი დღეს დედამიწაზე არსებობს ადამიანი, რომლის შესახებაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან, ერთმა ადამიანმა, განვლილი 40 წლის განმავლობაში შეცვალა მთელი საქართველო - და არა მხოლოდ საქართველო - ეს არის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე, მის მიერ ნაკურთხ წმინდა სინოდთან და სამღვდელოებასთან ერთად, ამინ!**

***და, ბოლოს, როგორ შეიძლება, შეფასდეს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის 40-წლიანი მოღვაწეობა?***

**იგი არის აღმსარებელი და მოწამე:**

როგორც სასულიერო პირს, ცხოვრება და მოღვაწეობა მას უხდებოდა ათეისტური საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როდესაც მის თავისუფლებასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. მაგალითად, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდში, მან დაგმო 1979 წელს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეჭრა, რითაც საბჭოთა ცენტრალური ხელისუფლება ძლიერ განარისხა; 1983 წელს თბილისში მომხდარი თვითმფრინავის გატაცების მცდელობის წახალისება ეკლესიას დაჰბრალდა. ეს იყო მორიგი პროვოკაცია ეკლესიის მიმართ. მიუხედავად პირადი საფრთხისა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ შეწყალების თხოვნით ცენტრალურ საბჭოთა მთავრობას წერილობით მიმართა და ეს - ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ეკლესიას დევნიდნენ და საბჭოთა ხელისუფლების პირველი პირები კათოლიკოს-პატრიარქს პირადად არ ხვდებოდნენ. მათ თხოვნა არ შეისმინეს და სასიკვდილო განაჩენი სისრულეში მოიყვანეს.

**იგი არის მლოცველი:**

მან შეთხზა მრავალი ლოცვა, ამ ეპოქალური ლოცვების ტექსტები გამოქვეყნებულია. მისი კურთხევით, ისტორიკოსებმა შეადგინეს საქართველოს პატრიარქებისა და მეფე-დედოფალთა სია, და მათ ეკლესია ყოველდღიურად იხსენიებს.

1999 წლის 25 დეკემბერს მან წაიკითხა აღსარება ქართველი ერის სახელით და თავის სამწყსოს - სრულიად საქართველოს - მიუტევა 2000 წლის განმავლობაში ჩადენილი ცოდვები.

საქართველოში აღდგა შვიდგზის ლოცვის უძველესი ტრადიცია, რაც, მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის თქმით, უმთავრესია განვლილ 40 წელიწადში აღსრულებულ საქმეთა შორის.

**იგი არის მმარხველი:**

გარდა პირადი მკაცრი მარხვისა, ამ 40 წლის განმავლობაში, მან მრავალგზის მოუწოდა სასულიერო პირებსა და მთელ მრევლს, ამა თუ იმ განსაცდელის ჟამს, განსაკუთრებული მარხვისაკენ და პირადად თვითონაც აღასრულა ის.

**იგი არის მღვიძარე:**

პირად დასვენებასა და ძილს მთელი ცხოვრების მანძილზე მეტად მცირე დროს უთმობდა;

**იგი არის უვერცხლო მკურნალი:**

ცნობილია მრავალი შემთხვევა, როდესაც მისი ლოცვით სხვადასხვა ასაკის ადამიანები სხვადასხვა სენისაგან განკურნებულან. მაგალითისათვის საკმარისია ქართველი სახალხო მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის, ბატონი კახი კავსაძის სასწაულებრივი განკურნება ონკოლოგიური დაავადებისაგან, რომელსაც იგი პირადად დღემდე ხშირად ჰყვება;

**იგი არის მოწყალე:**

როგორც აღინიშნა, მისი ინიციატივით, 1997 წლიდან საქართველოში აიკრძალა სიკვდილით დასჯა და ევთანაზია. მანამდეც და მერმეც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა გამუდმებით ზრუნავდა პატიმრებსა და სოციალურად დაუცველ სხვა ადამიანებზე. საპატრიარქოსთან არსებულმა უფასო სასადილომ წლების განმავლობაში ათასობით ადამიანი შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა;

იგი არის მშვიდობისმყოფელი, მხარეთა შემრიგებელი, რამაც ჩვენი ქვეყანა მრავალგზის იხსნა განსაცდელისაგან;

**იგი არის სამშობლოსათვის მზრუნველი და თავდადებული:**

მრავალწლიანი შრომის შედეგად მან საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალიის საყოველთაო აღიარება მოუტანა.

სამშობლოსათვის საკუთარი სიცოცხლე მას სასწორზე არაერთხელ დაუდვია. მაგალითისათვის საკმარისია, გავიხსენოთ 9 აპრილი, აფხაზეთი და სამაჩაბლო, მისი პირადი მონაწილეობა 2008 წლის ომის შეჩერებასა და დაუმარხავ მიცვალებულთა გადმოსვენებაში. ერთ-ერთ მათგანს მან საკუთარი ანაფორა გადააფარა.

***განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი სრულიად ახალი და უნიკალური ინიციატივა, რომელიც მრავალშვილიანობის ძლიერი სტიმულია. ბოლო რამდენიმე წელია უწმინდესი და უნეტარესი ილია II ხდება ოჯახის ყოველი მესამე და შემდგომი ბავშვის ნათლია, რამაც საქართველოში შობადობა საგრძნობლად გაზარდა და დემოგრაფიული სურათი შეცვალა. საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა მრავალშვილიანობის განწყობა. დღეისათვის კათოლიკოს-პატრიარქის ნათლულთა რიცხვმა 35 ათასს მიაღწია.***

**იგი არის განმანათლებელი:**

მისი პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში ქართულ ენაზე დაიბეჭდა ბევრად უფრო მეტი საღვთო წერილი და სხვა სასულიერო ლიტერატურა, ვიდრე საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, ერთად აღებული. ამის შესახებ თავად კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა, რომ მის პირად დამსახურებაზე მეტად ეს თანაფარდობა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგია. ცხადია, რომ დღეს არსებობს ბეჭდვის ბევრად მეტი საშუალება, ვიდრე ადრე, და ეს ყველგან ასეა, მაგრამ, სხვა ცივილიზებული ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში ქართულ ენაზე ბიბლია და სხვა სასულიერო ლიტერატურა თითქმის არ არსებობდა და, როგორც ითქვა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის პატრიარქობის 40 წლის განმავლობაში დაიბეჭდა ბევრად უფრო მეტი, ვიდრე საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ერთად აღებული.

**იგი არის შემოქმედი:**

ამისი მაგალითებია საუკეთესო ნაწარმოებები მუსიკაში, დაზგურსა თუ მონუმენტურ ხელოვნებაში, არქიტექტურაში, ლანდშაფტის დიზაინში და სხვ. მისი საგალობელი - "წმინდაო ღმერთო" - თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც პრაქტიკულად ყოველ ტაძარში ყოველ წირვაზე იგალობება.

დიდი წმინდა მარხვის დაწყების წინ, შენდობის კვირას, 40 წელია კათოლიკოს-პატრიარქი მთელი ერის წინაშე წარმოთქვამს საჯარო აღსარებას, სადაც ასახელებს თავის ცოდვებს, შეცდომებს, უძლურებას და მრევლისაგან, ქართველი ხალხისაგან ითხოვს შენდობას. ეს მონანიება არ არის ფორმალური, რადგანაც დიდ საქმეებს, სამწუხაროდ, დიდი შეცდომებიც ახლავს. იგი დღემდე განიცდის და პირად უძლურებად აღიქვამს 40 წლის განმავლობაში მომხდარ ყველა იმ შემთხვევას, როდესაც მას არ ეყო ძალა, წინ აღსდგომოდა ბოროტებას; განიცდის, რომ მოუწია სასულიერო პირების განკვეთა, რომელთა შორის იყვნენ: მეუფე ნიკოლოზ მახარაძე, მეუფე იოანე ანანიაშვილი, მეუფე შიო ავალიშვილი, მეუფე ამბროსი ქათამაძე და სხვ.; განიცდის ადამიანთა თვითმკვლელობის თითოეულ შემთხვევას, განიცდის დედის მუცელში ბავშვების მკვლელობას, განიცდის ჭეშმარიტი ზნეობრივი ღირებულებების ნაცვლად ცოდვისა და უზნეობის დაკანონებას, ვინაიდან დაკანონებული ცოდვა დანაშაულია; განიცდის უდიდეს სირცხვილს, როდესაც საჯაროდ მსჯელობენ ადამიანთა პირად ცოდვებზე.

***როდესაც მისი უწმინდესობა და უნეტარესობა შედის ნებისმიერ ხალხმრავალ დარბაზში, საქართველოში მთელი დარბაზი ფეხზე დგება. დიდი ხანია, ჩვენს ქვეყანაში ასეთი პიროვნება არ ყოფილა. ასეთი იყო ილია, ასეთი იყო აკაკი, ასეთი იყო ექვთიმე, ასეთი იყო მამა გაბრიელი, რომლის წინაშეც მთელი ტაძარი იჩოქებდა. ასეთია ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და ქვეყანა ბედნიერია, როდესაც ჰყავს ასეთი ადამიანი.***




○ 1946 WELS SAAXALWLOD WITELWYAROS RAIKOOPERATIVMA DABIS MSROMELTA SAKVEBIT MOMARAGEBIS MIZNIT, RAIONIS CENTRSI GAXSNA SASURSATO MARAZIA, SADAC IYIDEBA XELMISAWVDOM FASEBSI XORCI, KVERCXI, KARTOFILI, ZETI DA SXVA SAXIS SURSATI.

○ 1947 WELS RAIONIS 12-MA KOLMEURNEOBAM ABANOEBI AASENA. MAS AQVS ROGORC QALISA DA MAMAKACIS SAERTO GANYOFILEBEBI, ISE CALKE NOMREBI.

○ 1948 WELS DABA WITELWYAROS CENTRSI SASTUMROS MSENEBLOBAZE NAXEVARI MILIONI MANETI DAIXARJA. IS UZRUNVELYOFILIA 25 SAWOLIT DA SATANADOD GAFORMEBULI RESTORANIT.

○ 1948 WLIS IANVRIDAN RAIONIS KOMUNALURMA GANYOFILEBAM GAAZLIERA WYALSADENIS MSENEBLOBA. ASENDA SATUMBI SADGURI. WYALSADENIT PIRVEL RIGSI UZRUNVELYOFILNI IYVNEN KOMUNALURI MEURNEOBIS SACXOVREBELI BINEBI.

○ 1949 WELSI RAIONIS SEMSALAROM WLIURI GEGMEBI GADAWARBEBIT SEASRULA. SAXELMWIFO SESXIS SAXSREBIS SEMOSVLIS GEGMA SOFLIS MOSAXLEOBIS XELMOWERIDAN SESRULEBULIA 103%-IT, XOLO MUSA MOSAMSAXUREEBIS 120%-IT. SAXELMWIFO MOMGEBIANI SESXIS GAVRCELEBIS WLIURI GEGMA SESRULEBULIA 165%-IT, XOLO MOSAXLEOBIS ANABREBIS MOZIDVIS WLIURI GEGMA SESRULDA 124%-IT.

○ 1950 WLIS DEKEMBERSI `SAQNAVTIS~ MUSATA KLUBSI SAAXALWLO RONISZIEBANI GAIMARTA. SINAMDVILESI ES ERTERTI KLUBIA, SADAC MSROMELI MOSAXLEOBA ISVENEBS. MAGRAM AQ UDISCIPLINOBAS AQVS ADGILI. KLUBIS DIREQCIA AR AQCEVS YURADREBAS IMAS, ROM RUSUL ENAZE DAWERIL AFISASTAN ERTAD GVERDIT UNDA GAMOAKRAS QARTULI AFISAC. ASEVE ZOGIERTI TAVNEBA MAYUREBLIS MXRIDAN KINOSURATIS MSVLELOBIS DROS ADGILI AQVS DARBAZSI XULIGNOBAS, XMAURIA, EWEVIAN TAMBAQOS DA KAREBS ABRAXUNEBEN.

○ 1950 WELS MIRZAANELMA AMOMRCEVLEBMA AGITPUNQTSI DEPUTATOBIS KANDIDATEBTAN SEXVEDRAZE AMOMRCEVELTA TXOVNA GAAJRERES. MAT SURT, ARIZRAS SAKITXI SOFEL MIRZAANSI SAXELGANTQMULI MXATVRIS NIKO FIROSMANASVILIS SAXL-MUZEUMIS GAXSNIS SESAXEB. ASEVE GAMARJVEBIS RVAWLIAN SKOLAS EWODOS FIROSMANIS SAXELI, RADGAN SOFELSI CXOVROBEN DA IM SKOLASI SWAVLOBEN DIDI QARTVELI MXATVRIS STAMOMAVALNI. SITYVASI GAMOSULMA AMXANAGEBMA STQVES: `DIDI MXATVRIS TANAMEDROVENI - B. FIROSMANASVILI, S. RORASVILI, FIROSMANIS DISSVILEBI NIKOLOZ DA XVTISAVAR BARAMASVILEBI, ROMLEBIC CXOVROBEN FIROSMANIS MIER ASENEBUL SAXLSI, NATROBEN, `NETAVI AXLA COCXALI IYOS CVENI NIKO, TAVISI FUNJIT DAEXATA CVENI DIADI ARCEVNEBIS DRE~. S. RORASVILI IGONEBS FIROSMANIS MIER SESRULEBUL MAMASAXLIS G. SARALIZIS KARIKATURAS DA DASZENS, ROM NIKO AXLA DAXATAVDA SASOFLO SABWOS DEPUTATEBS ARA KARIKATURUL FORMEBSI, ARAMED ISE, ROGORC NAMDVIL SABWOTA ADAMIANEBSO.

○ 1959 WLIS 1 IANVARS, SUSXIANI DILA IYO, TUMCA DABIS CENTRSI LOYEBAWITLEBULI BAVSVEBI XELCAKIDEBULEBI MIABAKUNEBDNEN. DILIS 10 SAATISTVIS SAQNAVTIS MUSATA KLUBSI MIECQAREBODAT, SADAC MAT NAZVISXE ELODAT. SARAMOS 6 SAATAMDE GANUWYVETLIV MIMDINAREOBDA ZEIMI. MTELI DRIS GANMAVLOBASI 900-MA BAVSVMA MIIRO SACUQREBI. SEMDEG KI FILMIS CVENEBA GAIMARTA.

○ SKOLEBSI ARDADAGEBTAN DAKAVSIREBIT 1959 WLIS 1-DAN 12 IANVRAMDE WITELWYAROS SAQNAVTIS MUSATA KLUBSI DRIS KINOSEANSEBI MOEWYO. NACVENEBI IYO ROGORC QARTULI, ISE SABWOTA KINOSURATEBI.

○ 1961 WLIS 1 IANVRIDAN AXALI FULIS NISNEBI SEVIDA MIMOQCEVASI. ZVELI FULIS AXALZE GACVLIS SEUFERXEBLAD WARMOEBISTVIS RAIONSI 5 PUNQTI GAIXSNA.

1974-75 WLEBI

○ ZEMO QEDSI ASENDA AXALI RVAWLIANI SKOLIS SENOBA.

SAMTAWYAROSI ASENDA RVAWLIANI SKOLA.

○ SAEQSPLUATACIOD GADAECA WITELWYAROS RAISAAVADMYOFOS AXALI KORPUSI

○ Q. WITELWYAROS # 1 SABAVSVO BARI AXAL SENOBASI GADAVIDA.

○ ARBOSIKIS KALININIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM AXALI KANTORA AAGO

○ Q. WITELWYAROSI EQSPLUATACIASI SEVIDA AXALI 5 SARTULIANI SACXOVREBELI SENOBA.

○ QALAQIS MUSIKALURI SKOLISTVIS ASENDA AXALI SENOBA.

○ ASENDA SANEPIDSADGURIS SENOBA.

○ Q. WITELWYAROSI GAIXSNA MXARETMCODNEOBIS MUZEUMI.

○ MIRZAANSI ASENDA N. FIROSMANASVILIS SAXELOBIS SAXLMUZEUMIS SAEQSPOZICIO DARBAZI.

○ QALAQ WITELWYAROS RUSTAVELIS QUCAZE MOEWYO SKVERI.

○ ASENDA MEZROXEOBIS GIGANTURI KOMPLEQSI KUNZISWYALZE.

○ QALAQSI ASENDA AVEJIS MARAZIA

○ MTAVRDEBA RAIKOOPERATIVIS SAVAWRO CENTRIS MSENEBLOBA.

○ JAFARIZESI GAIXSNA PROFTEQNIKURI SASWAVLEBELI.

○ ZEMO MACXAANSI ASENDA AXALI SABAVSVO BARI.

○ GAZIFICIREBULI IQNA WITELWYAROS RAIONULI CENTRIS MNISVNELOVANI NAWILI.

○ MOXDA ZVELI SASTUMROS REKONSTRUQCIA.

○ GANXORCIELDA DIDI SAMUSAOEBI QALAQ WITELWYAROSA DA SOFLEBISTVIS AXALI, DIDI WYALSADENIS GAMOSAYVANAD LAGODEXIDAN.

○ 1978 WELS SAAXALWLO SACUQRAD SACXOVREBELI AXALI BINA GADAECA PRESIS QUCAZE MCXOVREB NINA DA EKATERINE JIBRASVILEBS. MAMAKACI ARCIL JIBRASVILI DID SAMAMULO OMSI DAIRUPA, SEMDEG DEDA-SVILMA AVADMYOFOBIS GAMO SROMIS UNARI DAKARGA, MATI BINA KI DAZIANDA. WERI CAMOWVA DA SACXOVREBLAD ARAR VARGODA. WITELWYAROS ORJONIKIZIS SAXELOBIS KOLMEURNEOBAM MATI SAKITXI SEISWAVLA DA AXALI KETILMOWYOBILI BINA AUSENA. PROFKOMITETI KI FULIT DAEXMARA.

○ 1979 WLIS SAAXALWLO DREEBSI WITELWYAROS NODAR DUMBAZE, JANSUR CARKVIANI DA TARIEL WANTURIA STUMROBDNEN. SEXVEDRA WITELWYAROS PIRVELI SASUALO SKOLIS DARBAZSI CATARDA. `WITELWYAROSI NAMYOFI VAR DA MISAUBRIA KIDEC AQAUR MSROMELEBTAN, MAGRAM DRES WITELWYAROS RAIONMA TAVISI SITYVA TQVA RESPUBLIKIS WINASE MARCVLEULISA DA YURZNIS WARMOEBIS SAQMESI. UFLEBA AR MAQVS SIRAQEL GUTNISDEDAS DA TARIBANEL DA DILICEL MEZVRES MZEDAKRUL SUBLZE AR VEAMBORO, AR DAVULOCO MARJVENA,~ - UTXRA `AXAL SIRAQS~ NODAR DUMBAZEM. `MIVESALMEBI SROMISMOYVARE DA PURMARILIAN WITELWYAROELEBS DA KVLAVAC VUSURVEB SIRAQIDAN DIDI MOSAVLIS MIREBAS, QVEVR-MARNIS AVSEBAS DA MTRIS TVALIS DAVSEBAS,~ - TQVA JANSUR CARKVIANMA.

○ 1981 WELS WARMATEBIT SESRULDA MARCVLIS SAXELMWIFOZE MIYIDVIS DA YURZNIS DAMZADEBIS GEGMEBI. 440 TONIS NACVLAD CABAREBULIA 515 TONA MATYLI, GADAWARBEBIT SESRULDA XORCISA DA RZIS CABAREBAC.

○ UKVE DASRULDA DA 1982 WLIDAN RAMDENIME AXALI SENOBA GADAECA SAEQSPLUATACIOD. MAT SORISAA WITELWYAROS # 6 SABAVSVO BARI.

○ 1988 WELS, 27 DEKEMBERS SOFEL QVEMMO QEDIS MKVIDRMA, 4 SVILIS DEDAM TAMAR NATATRALASVILMA AXALGAZRDULI LATARIIS BILETI, ROMELSAC 5000 MANETI XVDA WILAD.

(STILI DACULIA)

**მოამზადა**
ილია მარტყოფლიშვილმა

---

მონატრება

## გელა გიგაშვილი



ჩემო მონატრებულო შვილო, როცა შენს გვერდით ვიყავი, არასოდეს მიფიქრია, რომ ეს დღე დადგებოდა და უშენობის გაუსაძლისი ტკივილის ატანა მომიწევდა. ცხოვრებაშიც იყო მძიმე დღეები, იყო ეკონომიკური გაჭირვებაც, თუმცა, ამ მონატრებაზე მძიმე, უსასრულო და გაუსაძლისი არაფერი ყოფილა.

დედა-შვილობის სითბოს ყინულის გალღობა შეუძლია, ყველაფერი შეუძლია...

ეს სულის, სისხლისა და ხორციელის ღვთიური კავშირია...

არ შეიძლება დედა-შვილის დაშორება, მაგრამ... მე გავხდი დედა, რომელსაც შვილი მოუკვდა – დავაბიჯებ დაცლილი სხეულით უშენობისგან ფერდაკარგულ სამყაროში.

ეს სიშორე და სიცივე მაშფოთებს, გულს მიკლავს, შეუძლებელია, აღვწერო ის დაკარგული ემოციები, რომელიც შენთან ერთად უნდა გამეზიარებინა და რომელიც განგებამ ულმობლად მომტაცა. ტყუილი ყოფილა – დრო ყველაფრის მკურნალიაო, რომ ამბობენ. ასე მგონია, ყოველ 8 იანვარს, ჩემი სიცოცხლე მთავრდება.

ერთდროს ეს დღე მხიარულად მახსენებდა ჩემი ცხოვრების ბედნიერ მომენტებს, რაც შენს დაბადებას უკავშირდება, მაგრამ უკვე 6 წელია, ეს დღე მანადგურებს, ტკივილს მიღვივებს და მონატრებას მიასმაგებს...

ექვსი წლის განმავლობაში ყოველ ამ დღეს ვფიქრობ იმაზე, თუ როგორ ვუძლებ ამ სიმძიმეს. ჩემო მონატრებულო, უფლის მიერ ანგელოზად შერჩეულო, ნაადრევად წაყვანილო შვილო, მთელი ოჯახი უშენოდ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, გვიმძიმს უშენობა, თუმცა, სიცოცხლის არსი არ გვაძლევს უფლებას, რომ ბოლომდე გავნადგურდეთ.შენი ხსოვნა და ჩვენი ოჯახი, შენი ძმა და ძმისშვილები, მაძლიერებენ და მხარს მიმაგრებენ რომ იმ ულმობელმა სურვილმა, სრულად არ წამაქციოს და გამტეხოს. შენს დაბადების დღეს მოვალთ შენს საფლავთან, მოვეფერები შენს გაყინულ სურათს და ცრემლით დავასველებ შენს გულზე დაყრილ მიწას.

უფალს შევთხოვ, მომცეს ძალა, რომ უშენობით გამოწვეულ ტკივილს გავუძლო.

შენი გულმოკლული დედა

---

ქ.დედოფლისწყაროს №2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ №2 ბაგა-ბაღის ყოფილი ღვაწლმოსილი დირექტორის

ზესნა მიხეილის ასული ტოკლიკიშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებთ ანზორ ჯანიაშვილის ოჯახს.

---

მონატრება

## ნანა და ნუგზარ მაჩაბლიშვილები



რა საზარელია სიტყვა სიკვდილი, თავზარდამცემი და გამანადგურებელი, მაგრამ ეს ბუნების კანონი ყოფილა, რომელმაც არ იცის ასაკი, ის უმისამართოდ დაიარება. ამიტომაც არის, რომ უამრავი დედის გული იტანჯება ამქვეყნად. შვილმკვდარ დედებს გაუნელებელ ტკივილს აყენებს, რომელთა ცხოვრებაც ფუჭი და ამაო ხდება. სიკვდილმა ჯერ ერთი ტკივილი მომაყენა, როდესაც 48 წლის შვილი ნუგზარ მაჩაბლიშვილი გარდამეცვალა უდროოდ, ეს არ მაკმარა და ტკივილზე ტკივილი დამიმატა- ახლა მეორე შვილი, 54 წლის ნანული მაჩაბლიშვილიც გამომტაცა ხელიდან. ბევრი ვებრძოლეთ ორივეს ავადმყოფობას, მაგრამ, სიკვდილთან ბრძოლაში უძლურნი აღმოვჩნდით.

მოგტირით, ჩემო უსაყვარლესო ქმარ-შვილო. არა მარტო თქვენი ტკივილი მაწუხებს, არამედ ჩემი მშობლების და დედმამიშვილების დარდი. ჯერ იყო და, ძმა-42 წლის სურენა გონაშვილი გარდაიცვალა, შემდეგ დედა -64 წლის სონა გონაშვილი, 30 წლის სრულიად ახალგაზრდა ძმისშვილი პაატა გონაშვილი. ისღა დამრჩენია, ჩემი გაუბედურებული და დაჭრილი გულით შორიდან მოგეფეროთ და გაგიხსენოთ, სანთელი აგინთოთ და მაგით დავიოკო თქვენგან მიყენებული ჭრილობები. მხოლოდ ესაა ჩემი თხოვნა ღმერთის მიმართ, რომ მალე შემახვედროს თქვენს თავს, რათა ახლოდან მოგეფეროთ, მინდა, მეც მალე დავიდო სამუდამო ბინა თქვენს გვერდით. ნათელში იყოს, ჩემო უსაყვარლესო ადამიანებო, თქვენი ლამაზი სულები და მსუბუქი იყოს თქვენს გულებზე დაყრილი მიწა.

**სიბერეში ცხოვრებით გამწარებული**
ციცინო გონაშვილი–მაჩაბლიშვილი

---

უახლოესი მეზობლები: გურამ მოლაშვილი, გია ბოტკოველი, ვახტანგ ბოსტოღანაშვილი, გია ჯანაშვილი, მირიან პოპიაშვილი, თამრიკო ჯანაშვილი, ხათუნა ნატროშვილი, ვაჟა და სოსო ნატროშვილები, ვიოლა და ლია რობიტაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ციური ყოჩიაშვილს მეუღლის, შვილებს ნიკა და გიორგი ნატროშვილებს მამის, ზიზი და ვალერი ყოჩიაშვილებს – სიძის

დათო ნატროშვილის

გარდაცვალების გამო.

# სანქტ-პეტერბურგში ცისფერი თოვლი მოვიდა

სანქტ-პეტერბურგში სპეციალისტებმა, აპტეკარსკის პროსპექტზე, ავარიული შენობის გვერდით, ტროტუარზე ცისფერი თოვლი აღმოაჩინეს. სინჯები ანალიზზე გაიგზავნა. შუალედურ შედეგებს უახლოეს მომავალში ელოდებიან. ინფორმაციას რუსული მედიაავრცელებს.

ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ ასეთი თოვლი ქიმიო-ფარმაცევტული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის გამო მოვიდა. მათი თქმით, ნალექი ტალღისებურად მოდიოდა, ფერადი საფარის სისქე დაახლოებით ერთი სანტიმეტრი იყო.



# ძლიერმა ქარმა დედოფლისწყაროც დააზარალა

25-26 დეკემბერს უამინდობამ პრობლემები შექმნა კახეთის რეგიონში. აბონენტების ნაწილს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ძლიერმა ქარმა, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა, ხეები მოგლიჯა სიღნაღსა და დედოფლისწყაროში. ქარმა საახალწლო განათებებიც დააზიანა. დედოფლისწყაროს ცენტრალურ მოედანზე წაიქცა მთავარი ნაძვისხე. ქარმა სახურავი გადახადა ქალაქ დედოფლისწყაროში, ახალი საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსს. მიყენებულ ზარალს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა და ინფრასტრუქტურის სასახური ადგილზე გაეცნო.

როგორც „ენერგო-პრო“-ს პრესსამსახურის წარმომადგენელი კახეთის რეგიონში ჟანა დიდებაშვილი ამბობს, კომპანიის წარმომადგენლები ხარვეზების აღმოფხვრაზე აქტიურად მუშაობდნენ და აბონენტებს ელექტროენერგიის მიწოდება ეტაპობრივად აღუდგათ.





„ორი ღამის განმავლობაში ძლიერი ქარი იყო, თითქმის არ გვძინებია, ხმაური იყო და გვეშინოდა. გვიან ღამით მოხადა სახურავი და ასე დავრჩით. დიდი შიში ვჭამეთ. მალევე მოვიდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებ, დაათვალიერეს შენობა და თქვეს, რომ აღადგენენ სახურავს,“ - აღნიშნავენ დაზარალებული კორპუსის მაცხოვრებლები.

როგორც დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, კორპუსის შეკეთება სულ მალე დაიწყება და მასზე თანხა მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოიყოფა.

„ამ ეტაპზე ხელახალი გადახურვისთვის პროექტირების პროცესი მიმდინარეობს. რამდენიმე დღეში დაიწყება მისი აღდგენა. ამ შენობას სახურავი რამდენიმე წლის წინ გამოეცვალა. მანამდე რბილი გადახურვა იყო გამოყენებული. შემდეგ შეიცვალა და ნაწილი შიფერი იყო, ნაწილი ლითონით. ამჯერადაც ვფიქრობთ, რომ ისევ რბილ გადახურვას მივმართავთ, რადგან ეს უფრო მდგრადი და ეფექტური იქნება და გადახდის საფრთხე აღარ იქნება. სამწუხაროდ, წინა წლებშიც გვქონდა ანალოგიური პრობლემები და ყოველთვის ოპერატიულად ხდებოდა რეაგირება. სარეზერვო ფონდიდან ხდებოდა აღდგენითი სამუშაოების ჩატარება. სარეზერვო ფონდში ყოველწლიურად 50 000 ლარია გათვალისწინებული, გადახურვის სამუშაოებიც სწორედ ამ თანხით დაფინანსდება,“ - აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

დაზიანებული ნაძვისხის აღდგენაც რამდენიმე დღეში მოხერხდა და ის ახალი ნათურებით მოირთო.

ილია მარტყოფლიშვილი



# ქედელებმა დილიჩის მიწები დაიბრუნეს და დაამუშავეს

***სოფელ ზემო ქედის, არხილოსკალოსა და ქვემო ქედის მაცხოვრებლებმა სადავო მიწის ნაკვეთის დამუშავება მოახერხეს. გაზეთ „შირაქის“ ექსკლუზიური ინფორმაციით, დილიჩის ტერიტრიაზე „საქართველოს ბანკის“ კუთვნილი 3000 ჰექტარი მიწა ადგილობრივებმა უკვე გაინაწილეს.***

„საქართველოს ბანკსა“ და დედოფლისწყაროს სამი სოფლის მოსახლეობას შორის საბოლოო შეთანხმება შედგა. ადგილობრივებმა იურიდიულად შექმნეს ამხანაგობა „სამი ძმა“, რომელმაც ბანკთან ხელშეკრულება დადო. მოსახლეობამ ვალდებულება აიღო, 1 ჰექტარი მიწა 1 700 ლარად 8 წლის განმავლობაში გამოისყიდოს.

ამხანაგობის თავმჯდომარე დავით ჭიკაიძე „შირაქთან“ საუბრისას ამბობს, რომ პირობა ადგილობრივებისთვის მისაღებია და მოსახლეობამ თესვა უკვე დაასრულა.

„მას შემდეგ, რაც ჩვენი ერთობა იურიდიულად გავაფორმეთ და ეს კომფორტი შევუქმენით, ბანკი დათმობაზე წავიდა და ჩვენს მოთხოვნას დაეთანხმა. ამხანაგობაში 80 ადგილობრივი გაერთიანდა. ვალდებულება ავიღეთ, რომ რვა წლის განმავლობაში შევძლებთ 3000 ჰექტარი მიწის საბოლოო შესყიდვას. მთავარი ისაა, რომ მოსახლეობას არანაირი პროცენტის გადახდა არ მოუწევს. ამხანაგობის წევრებს შორის მიწის ნაკვეთი ისე განაწილდა, რომ ყველა კმაყოფილი დარჩა. დამუშავების პროცესიც დავასრულეთ და ნაკვეთების მოვლა-პატრონობას ვაგრძელებთ,“ – აცხადებს „შირაქთან“ დავით ჭიკაიძე.



ადგილობრივები სამი თვის განმავლობაში საპროტესტო აქციებს მართავდნენ როგორც სოფელში, ისე ნაკვეთში და თბილისში, ბანკის სათაო ოფისთან. რამდენიმე თვის განმავლობაში ნაკვეთში კერძო დაცვის სამსახურის გაძლიერებული შემადგენლობა იყო მობილიზებული, რომელიც მოსახლეობას მიწის დამუშავების საშუალებას არ აძლევდა. ადგილზე დაპირისპირება რამდენჯერმე შეტაკებაშიც გადაიზარდა.

2010 წელს სამი სოფლის მოსახლეობას კუთვნილი მიწები, ჯამში 3000 ჰა, ხელისუფლების ჩარევის შედეგად ჩამოართვეს და კომპანია „ჯეო-აგროს“ მიჰყიდეს. მოგვიანებით კომპანიამ მიწა იპოთეკით დატვირთა, რის შემდეგაც ნაკვეთი ბანკის მფლობელობაში აღმოჩნდა. ადგილობრივები მიწის დაბრუნებას მას შემდეგ ითხოვდნენ.

ილია მარტყოფლიშვილი

## ამინდი დედოფლისწყარო

| ორშაბათი 01.01 | | სამშაბათი 02.01 | | ოთხშაბათი 03.01 | | ხუთშაბათი 04.01 | | პარასკევი 05.01 | | შაბათი 06.01 | | კვირა 07.01 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე | დღე | ღამე |
| 5° | 4° | 4° | 3° | 3° | 2° | 2° | 1° | 7° | 4° | 8° | 5° | 5° | 2° |

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი:
ქალაქი დედოფლისწყარო,
ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.